პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელს სამშაბათი 20 ოქტომბერი № 240 (18182) ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო სრულად გამოიყენეთ განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობანი, ქვეყნის საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ძირითადი!

ახალი მეურნეობის ინტენსიური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მარტო მახლობის შემოქმედებითი მეტოქეობით კი არ შემოიფარგლება, არამედ თავისი არსით მეურნეობის რაციონალური გაძღოლის ტაქტიკასა და სტრატეგიას წარმოადგენს, თავისუფალი შრომის წარმომადგენელთა მაღალ შეგნებასა და ინიციატივაზე დაფუძნებული.

დღეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკის მართვის ის ბერკეტია, რომლის შემწეობითაც ყველანი წარმოების ვიწრო ადგილებს, ვაჩქარებთ ახალ-მოქმედებელი ობიექტების ხელექსპლოატაციოდ გადაცემას, ვიბრძვით მეურნეობაში ეაირათანაბობათვის. ერთი სიტყვით, სოციალისტური შეჯიბრება — ეს არის შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე დაფუძნებული ჩვენი შუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ალფა და ომეგა.

პირველად სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა მახლობის შემოქმედებითს აქტივობას, შრომით მეტოქეობას, მოგვიწოდებდა ხელი შეგვეწყო და ყოველმხრივ გაგვეფაროდინა მისი მასშტაბი.

ლენინური პრინციპების ერთგული საქართველოს კომუნისტები, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დღენიადაგ ზრუნავენ, რათა ხელი შეუწყონ როგორც ინდივიდუმების, ისე ცალკეული კოლექტივების შემოქმედებითს ძრომას, წაახალისონ ისინი ახალი მიკნების მიხაზვაში, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვაში და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელებით და დისციპლინის განმტკიცებით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიმდინარეობ ეტაპზე შრომითი მეტოქეობის ორგანიზაცია დღეს ველარ ეტევა ვიწრო, საწარმოს არტახებში, ადგან იგი სულ უფრო მიზანსწრაფული, სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის, ბრგისა თუ მთლიანად სახალხო მეურნეობის პოტენციურ შესაძლებლობათა განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა მეათე ხუთწლედში, როდესაც საქართველოს მშრომელებმა სამრეწველო წარმოების ოცულობა, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, 41 პროცენტით გაადიდეს. მიღწეულ ანა სანუკვარი მიკნა, მაგრამ არა სამოლოო, რადგან მეათე ხუთწლედში კვლავ სწრაფი ნება სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი: ეწველობაში — 30-33, სოფლის მეურნეობაში — 22-24 პროცენტი. ეს ტენდენცია შემდგომ ხუთწლედშიც გაგრძელდება. მაშასადამე, ლოზუნგი — ეფექტიანობა და ხარისხი! — რომელიც ითმოცაან წლებში კიდევ უფრო აქტიური ხდება, მხოლოდ ახალის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი ორგანიზაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით (შრომის ნაყოფიერება, მთლიანი პროდუქციის გამოშვება და მისი რეალიზაცია, თვითღირებულების შემცირება, მოგების გეგმა, წარმოების მოცულობის ფონდის ტემპი, უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვება, მუშა-მოხელეთა პირობების გაუმჯობესება და ა. შ.) სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობის შეფასება საქართველოს კომუნისტთა XXVI ყრილობაზე მიჩნეულ იქნა წარმოების ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპების ემდგომ განვითარებად, ცენტრალური ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ინიციატივის სწორი ეხამების დარგში ერთიანი საერთო-საკავშირო ეკონომიკის განვითარების რეგიონალური პრობლემებისადმი ახლებურ მიდგომად.

ამ მიმართულებით წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკური, ავტონომიურ, საოლქო, საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიები.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომებზე ყოველკვარტალურად განიხილება 17 ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ინდივიდუალურ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი — პარტიული თუ სამეურნეო მუშაკის ინფორმაცია, ხოლო თვეში ერთხელ ანალიზებენ ამ მაჩვენებელთა კომპლექსის მიხედვით ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. აქ ერთი თავისებურებაც არის. ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ანალიზი უთუოდ ხდებოდეს ერთ-ერთ სერიოზული გადასწყვეტი ამოცანაა. ვინაიდან რესპუბლიკის მრეწველობაში კომპლექსურ ბრიგადებში გაერთიანებულთა ხვედრითი წილი მომუშავეთა მთლიან რაოდენობასთან შედარებით დაახლოებით 10 პუნქტით ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებელს. ამ მხრივ მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება მართებთ საქართველოს სსრ მუსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობისა და მშენებლობის სამინისტროების, საწარმოო გაერთიანება „საქქვაბაშრის“, „საქელექტრომაწყანისა“ და ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივებს. განა მოსათმენია, როცა ცალკეულ სამშენებლო ორგანიზაციებში სამეურნეო ანგარიშით მომუშავე კომპლექსურ ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების დაქვეითების ტენდენცია შეიმჩნევა? ასეა ეს, მაგალითად, „კავკასელექტროკომუნმშენის“ ტრესტსა და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოში.

სოციალისტური შეჯიბრების სწორად წარმართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შრომის მოწესრიგება გამოცდილების დანერგვა და მისი გავრცელება. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის პროფსაბჭო, სადაც შექმნილია ამ მიმართულებით მოქმედი სპეციალური სამუშაო ჯგუფი. ჩვენს მკითხველს ახსოვს, რომ მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა მხარი დაუჭირეს პატრიოტულ თაოსნობებს, რომლებიც გამოიჩინეს ფოთის ბიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა — „საწარმოო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის მაქსიმალური ამოგება“, თბილისის დინამოვეის ხელსაბის საავიაციო და ქუთაისის ორკონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნების კოლექტივებმა — „უზრუნველყოთ პროდუქციის მატება მოქმედ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით და მინიმალური კაპიტალური დაბანდებით“, თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ე. ახალკაცისშვილის მძღოლთა ბრიგადამ — „ყოველ ავტომობილზე გაგზავნილ მუშავებმა გადიდების მეშვეობით — ხუთწლედი ოთხ წელიწადში!“, საყურადღებოა ფოთელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა — „ყოველნაირად ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა და ამ საფუძველზე მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი ჰექტარი მიწა“ და სხვა. ამასთან რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებს რეკომენდაცია მიეცათ თავიანთ საქმიანობაში ფართოდ დანერგონ ისინი.

ანალიზით ირკვევა, რომ ყველა თაოსნობამ ვერ პოვა სათანადო მხარდაჭერა, ეს მეტყველებს იმაზე, რომ პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე შეასუსტეს კონტროლი, სოციალისტური შეჯიბრების მხვლელობას ზოგჯერ ფორმალურად აფასებენ, თვალს არიდებენ ნაკლოვანებებს.

მაგალითად, ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში, რომლის კოლექტივიც თვითონ იყო რესპუბლიკის მასშტაბით სოციალისტური შეჯიბრების ზემოაღნიშნული დევიზით მუშაობის ინიციატორთაგანი, ფაქტობრივად დაივიწყეს საკუთარი წამოწყება. საჯაროდ ნათქვამი სიტყვა გატეხეს რუსთაველმა მეფოლადეებმა და თვითონ აღმოჩნდნენ ჩამორჩენილთა რიგებში.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 17 ძირითადი მაჩვენებლის კომპლექსის მართვა ჩვენი სადღეისო და უახლოესი პერსპექტივის გადაუდებელი ამოცანაა. ამიტომ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა ამ მნიშვნელოვან საკითხს უნდა დაუქვემდებაროს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მაღლა გეპიროთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა! მოლიანად და გადაჭარბებით შეავსრულოთ ხუთწლედის დავალება! ვიმუშაოთ ეფექტიანად და ხარისხიანად!

ეჭვი არ არის, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მოწოდებებს საქართველოს მშრომელები გამჯერ შრომით უპასუხებენ.

საოქტომბრო შრომის ვახტზე

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ფაბრიკის ძაფსახვევი საამქროს ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა მუდამ მოწინავეთა რიგებშია. საამქროს თითოეული წევრი აქ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ჩინებულად შრომობს მხვეველი ქეთინო ჯაბნიაშვილი. იგი ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებულ 260 კილოგრამში კორდის ძაფის ნაცვლად 400-450 კილოგრამ ძაფს ახვევს. სურათზე: ქ. ჯაბნიაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

სამეფიორაციო სამუშაოთა სრულყოფის ინტერესებისათვის

ამხანაგი ნ. თ. ვასილიევი საქართველოში

16-17 ოქტომბერს ჩვენს რესპუბლიკაში იმყოფებოდა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ნ. თ. ვასილიევი. იგი მონაწილეობდა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა პრობლემას „კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მიწების ამოშრობა და სასოფლო-სამეურნეო ათვისება“. კონფერენცია გაიმართა ქალაქ ფოთში.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ნ. თ. ვასილიევმა ხაზი გაუსვა, რომ კოლხეთის ამოშრობისა და ათვისების პრობლემას საერთოსახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. ამ რეგიონს შეუძლია მნიშვნელოვანი წელილი შეიტანოს სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, რომლის შემოშავების აუცილებლობა აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობამ, და უნდა გახდეს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი პერსპექტიული საკურორტო ზონა. მინისტრმა მეცნიერთა და სპეციალისტთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა „კოლხეთის ჭარბად მიეფდგნენ კოლხეთი. დაბლობის ამოშრობისა და ათვისების პრობლემის ჯადაწყვეტამდე, გაშალონ აქ დიდი ძალისხმევა სამელიორაციო სამუშაოები.

ამხანაგ ნ. თ. ვასილიევმა დაათვალიერა კოლხეთის ზოგიერთი ობიექტი. იგი იყო პატარა ფოთის სატუმბავ სადგურში, რომელიც დადგმულია მაგისტრალურ ამოსაშრობ არხზე. ეს სადგური, რომლის სიმძლავრე წამში 8 კუბური მეტრია, რიონში უშვებს ხობის რაიონის ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობის 1200 ჰექტარ ფართობზე შეგროვილ ჭარბ წყალს.

ამავე რაიონში მინისტრი იყო 834 ჰექტარი ფართობის საყოლმატაციო უბანზე, რომელიც ჭაობს წაართვეს მეთოდით „წყალი წყლის წინააღმდეგ“. აქ შენდება ახალი მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღები. 500 ჰექტარი უკვე უკავია ახალგაზრდა ლიმონის ხეებს.

შემდეგ სტუმარი ეწვია საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის საცდელი სადგურის საცდელ ნაკვეთს. აქ მეცნიერები აკვირდებიან მელიორირებულ მიწებზე გაშენებულ ციტრუსის ბაღებს.

მინისტრის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სქმთავარწყალშენის „კოლხეთშენის“ ტრესტის დამხმარე მეურნეობამ. საკუთარი ძალებით ამოშრობილ უბანზე ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის მახლობლად მელიორატორებმა გააშენეს 10 ჰექტარი ლიმონარიუმი და უკვე წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 15 ათას ცალ ლიმონს. მოქმედებს მეღორეობის ფერმა 50 სული პირუტყვისათვის, აქვთ 80 სკა, გუბურაში ათასობით იბვია გაშვებული. შენდება მერძეობის ფერმა 50 ფურკამეჩისათვის. დროთა განმავლობაში მეურნეობის მასშტაბი გაიზრდება. ლიმონის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს გამოიყენებენ მეცხოველეობის განვითარებისათვის, რომლის პროდუქციას კოლხეთმშენებელთა შორის გასაღებენ.

ამხანაგი ნ. თ. ვასილიევი ეწვია აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის „ხიდმაღალის“ ახალ მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობას. მელიორატორებმა ჭაობს შეუტიეს მაისში, გამოიყენეს ამოშრობის კომბინირებული სისტემა — დახურული დრენაჟი სფერულ კვლებთან შეხამებით და უკვე წელს ათვისებისათვის გადასცემენ პირველ 100 ჰექტარს. აქ 100 ჰექტარზე გაშენდება ლიმონის ხე და 60 ჰექტარზე — ფეიჰოა და მანდარინი.

მინისტრმა მელიორატორებს მისცა მთელი რიგი პრაქტიკული რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები.

მელიორირებულ ობიექტებში მოგზაურობის დროს ამხანაგ ნ. თ. ვასილიევს ახლდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

ტუმარი გაეცნო მთიან აჭარას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. რ. პაპუნიძის, აჭარის ასს რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელების თანხლებით 17 ოქტომბერს იგი ეწვია ქედის რაიონს, შეხვდა კოლმეურნეებს და სოფლის ინტელიგენციას.

თბილისში გამართა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის ნ. თ. ვასილიევისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის შეხვედრა. მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის სამელიორაციო და წყალსამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა ამაღლდეს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განტკიცებისათვის გამოყოფილი სახსრების ეკონომიკური ეფექტიანობა.

ნაშუადღევს ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ნ. თ. ვასილიევი, ჰ. გ. გიოლშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ბ. გადელია და საქმთავარწყალშენის უფროსი ა. გ. მუსეროვი გაეგზავნენ კახეთში, რომლის ზეგრებში რთველი გრძელდება. საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ყურძნის კრეფაში.

თბილისის აეროპორტში გამოთხოვების დროს ამხანაგმა ნ. თ. ვასილიევმა თქვა, რომ საქართველოსთან ახალმა შეხვედრამ მასზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, — თქვა მან, — აქტიური, დამაბული შრომა მინდვრებსა და პლანტაციებში, ადამიანთა კარგი გუნება-განწყობილება გვინერგავს რწმენას, რომ თქვენი აყვავებული რესპუბლიკა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის ფორმირებაში, პირნათლად შეასრულებს სკკპ XXVI ყრილობის ყველა დავალებას.

(საქინფორმი).

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IX კონგრესის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის IX კონგრესის დელეგატებსა და სტუმრებს, რომელიც თავის რიგებში 120-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებს.

დემოკრატი ჟურნალისტების IX კონგრესი საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა, იგი შეიკრიბა ვითარებაში, როცა აგრესიულმა იმპერიალისტურმა წრეებმა გააჩაღეს გაფთრებული ბრძოლა დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და უშიშროების წინააღმდეგ, თავს ახვევენ ხალხებს არნახულ გამალებულ შეიარაღებას, მსოფლიოს უბიძგებენ თერმობირთვული კატასტროფისაკენ.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენები აქტიურად უჭერენ მხარს მშვიდობას, დაძაბულობის შენელებასა და განიარაღებას. დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალისტები, შებრძოლი და პასუხსაგები პროფესიის ადამიანები, ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, იტყვიან სიმართლეს ხალხთა ამ ბრძოლის შესახებ, ყოველმხრივ დაუჭერენ მას მხარს, მთელ თავის ძალებს, მთელ პროფესიულ გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების საქმეს. ახლა არაფერია იმაზე უფრო საარსებო ამოცანა, ვიდრე ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება. ბირთვული ომის საფრთხის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ აშკარად და ქმედითად უნდა ვიბრძოლოთ, ვამხილოთ ომის გამჩაღებლები, გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, აქტიურად დავრაზმოთ საზოგადოებრიობა იმპერიალიზმის მილიტარისტული კურსის წინააღმდეგ.

ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ ყველა ქვეყნის პროგრესული ჟურნალისტები ღირსეულ წვლილს შეიტანენ მშვიდობის, თანამშრომლობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში.

სულითა და გულით გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში, მსოფლიო დემოკრატიული ჟურნალისტიკის ძალების შემდგომ შეკავშირებაში.

ლ. ბრეჟნევი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ვოიცეხ იარუზელსკის

ძვირფასო ამხანაგო იარუზელსკი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გილოცავთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევას.

გიცნობთ რა, როგორც მოძმე პოლონეთის თვალსაჩინო პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირთან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის თანამმდევარ მომხრეს, გამოვთქვამთ რწმენას, რომ ამ პასუხსაგებ ისტორიულ მომენტში გამოიყენებთ მთელ თქვენს მაღალ ავტორიტეტს, რათა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით შეაკავშიროთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის რიგები, დაიცვათ პოლონეთის მუშათა კლასის, პოლონეთის ყველა მშრომელის სოციალისტური მონაპოვარნი კონტრრევოლუციის ხელყოფისაგან, დაძლიოთ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, კიდევ უფრო განამტკიცოთ პოლონეთის სახელმწიფო სუვერენიტეტი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გულწრფელად არიან დაინტერესებული, რათა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში შობილი ჩვენი პარტიებისა და ხალხების მეგობრობა, ნაყოფიერი ყოველმხრივი თანამშრომლობა თანამიმდევრული განვითარების ყველა ეტაპზე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ორივე ქვეყნის, სოციალიზმის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

ამ მიზნების რეალიზაციისათვის მეცადინეობაში თქვენ პოვებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გაგებას და მხარდაჭერას.

დაე დღენიადაგ მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ერთიანობა, ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მომძე სოციალისტური ქვეყნების მთელი ურღვევი თანამეგობრობისა ხალხთა მეგობრული კავშირურთიერთობა.

ლ. ბრეჟნევი,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

ვ. იარუზელსკის

ვოიცეხ იარუზელსკი დაიბადა 1923 წლის 6 ივლისს ლუბლინის სავოევოდოს ქალაქ კუროვში. დაამთავრა ჟ. სვერჩევსკის სახელობის გენერალური შტაბის აკადემია.

1943 წლის ივლისში შევიდა პოლონეთის ჯარში, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყალიბდებოდა. განვლო პოლონეთის ჯარის პირველი არმიის საბრძოლო გზა. მონაწილეობდა ვარშავის განთავისუფლებაში, ოდერსა და ელბაზე ბრძოლებში.

სახალხო ხელისუფლების წლებში ეკავა პასუხსაგები სამეთაურო, საშტაბო და პარტიულ-პოლიტიკური პოსტები. 1960 წლიდან მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსია, 1962 წლიდან — ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1968 წლიდან — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი. აქვს არმიის გენერლის სამხედრო წოდება.

1948 წლიდან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრი, 1964 წლიდან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია.

1970 წლიდან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, 1971 წლიდან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

1981 წლის თებერვალში ვ. იარუზელსკი დაინიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ამასთან დარჩა ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტზე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობაზე (1981 წლის ივლისი) კვლავ აირჩიეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

იგი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დეპუტატია.

დაჯილდოებულია პოლონეთის ბევრი ორდენით, მათ შორის სახალხო პოლონეთის მშენებელთა ორდენით. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ვოიცეხ იარუზელსკი აირჩიეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

სწავლობენ მოძმე უნგრეთის აგრარულ გამოცდილებას

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მიღწევები, რომლებმაც ეს მოძმე სოციალისტური ქვეყანა ყველაზე განვითარებული სოფლის მეურნეობის სახელმწიფოს შორის ჩააყენა, გახდა თბილისში 19 ოქტომბერს გახსნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა გულმოდგინე განხილვის საგანი. კონფერენციის კონკრეტული თემაა „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის მოსახლეობასთან უნგრეთის საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების გამოცდილების გამოყენება სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში“.

შეხვედრა მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტექნიკური განვითარების სახელმწიფო კომიტეტმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით მორთულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს მოძმე ქვეყნის დელეგაციის წევრებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ესტონეთის, საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე მეცნიერებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, ჩვენი რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

კონფერენციის მონაწილეთა შორის არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ლ. ზაქაიძე და გ. ს. მამაცაშვილი, რესპუბლიკის „მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. გვერდწითელი.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ ორ ათწლეულში შთაბეჭდილება მოახდინა. მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, — თქვა მან, — აქტიური, დამაბული შრომა მინდვრებსა და პლანტაციებში, ადამიანთა კარგი გუნება-განწყობილება გვინერგავს რწმენას, რომ თქვენი აყვავებული რესპუბლიკა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის ფორმირებაში, პირნათლად შეასრულებს სკკპ XXVI ყრილობის ყველა დავალებას.

(საქინფორმი).

„საქფრინველმრეწვის“ რესპუბლიკურ გაერთიანებაში

„საქფრინველმრეწვის“ რესპუბლიკურ გაერთიანებაში. მეურნეობელი ყურადღება ეთმობა პირადი დამხმარე მეურნეობების, როგორც სასურსათო რესურსების შევსების ერთ-ერთი არსებითი რეზერვის განვითარებასა და გაფართოებას. მეათე ხუთწლედის წლებში რესპუბლიკის პირადი დამხმარე მეურნეობებიდან სახელმწიფოს მიეყიდა მილიონი ტონა ყურძენი, დაახლოებით ორი მილიონი ტონა ხილი და ციტრუსები, 300 ათასი ტონა ხორცი, ბევრი სხვა პროდუქცია. მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისთვის გამოვძებნით და გამოვიყენებთ სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის ახალ რეზერვებს და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის უფრო ეფექტიან გზებს, და ამ ღონისძიებათა კომპლექსში ვაპირებთ გამოვიყენოთ ჩვენი უნგრელი მეგობრების შეასახებანი გამოცდილება.

დელეგაციის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა

(დასასრული მე-2 გვ.)

საკავშირო ცნობა

„მიფრინავს „მოლნია-3“

შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას „ორბიტის“ ქვეყნის პუნქტებისთვის სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემის უზრუნველყოფისა — და საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით 1981 წლის 17 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-3“. რომელსაც აქვს ტელევიზიის სანტიმეტრული დიაპაზონი სისტემის უზრუნველმყოფი საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურა.

თანამგზავრი გაუყვანილია ორბიტაზე, რომლის პოგეა 40.644 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა 649 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის გარშემოვლის პერიოდია 12 საათი და 16 წუთი, ორბიტის დახრილობა — 63 გრადუსი.

„მოლნია-3“ თანამგზავრის მეშვეობით კავშირის სეანსები ფასსახული პროგრამების შესაბამისად მოეწყობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაუმჯობესოთ ვაგონების განტვირთვის ორგანიზაცია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა გაფართოებული თათბირი, რომელშიც განხილა რესპუბლიკაში ვაგონების განტვირთვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, სამინისტროების, უწყებების, დიდი საწარმოების, ამიერკავკასიის რკინგზის წარმომადგენლები. გაწეული მუშაობისა და ვაგონების განტვირთვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ, ამიერკავკასიის რკინგზის უფროსმა ლ. გ. ვარდოსანიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

თათბირმა აღნიშნა, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკაში უაღრესად მძიმე ვითარება შეიქმნა სარკინიგზო ვაგონების განტვირთვის საქმეში. მისასვლელი გზები გაწუტვირთავი ვაგონებით არის გაჭედილი, რაც აბრკოლებს ნორმალურ მუშაობას. საწარმოები დიდ ჯარიმებს უხდიან რკინიგზას ვაგონების მოცდენისათვის, ვაგონების ნაკლებობა უაღრესად უარყოფით ზეგავლენას ახდენს რკინიგზის მუშაობაზე, სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე.

მიმდინარე წლის ოქტომბერში მკაცრ პარტიულ პასუხისგებაში მიეცნენ მთელი რიგი თანამდებობის პირები, კომუნისტი ხელმძღვანელები. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ განიხილონ საკითხი, თუ რამდენად შეეფერებიან თანამდებობის საწარმოთა დირექტორები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან ვაგონების გამოყენებას, სამინისტროებისა და უწყებებისადმი მომთხოვნელობის შეუსუსტებლად, გათვალისწინებულია გაძლიერდეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობა საქმის ვითარებისათვის ცალკეულ რეგიონებში, ქალაქებში და რაიონებში.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, კერძოდ, წინადადება მიეცათ უფრო მკაცრად მოსთხოვონ პასუხი სამეურნეო ხელმძღვანელებს.

თათბირმა პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა არა მარტო გააკონტროლონ, უბრალოდ კი არ აღნუსხონ საქმის ვითარება, არამედ უკეთ წარმართონ იგი.

დაწესებულია რკინიგზის ვაგონების გამოყენების მართვის ახალი სისტემა. ამ სისტემის მიხედვით ამიერკავკასიის რკინგზის სამმართველოს ხელმძღვანელობა უშუალოდ უკავშირდება სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს. ამ ქვეგანაყოფების მუშაკებს, ხელმძღვანელის მოადგილის დონეზე, ეკისრებათ პასუხისმგებლობა ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის ორგანიზაციისათვის. ყოველდღიურად, მათ შორის დასვენების და უქმე დღეებში, ისინი მოვალენი არიან დილის 9 საათიდან 11 საათამდე უშუალო კავშირი იქონიონ რკინიგზასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, სხვა ორგანიზაციებთან.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ოთხშაბათობით ამიერკავკასიის რკინიგზის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ ვაგონების განტვირთვის საკითხებს, მიიღებენ შესაბამის ზომებს სატრანსპორტო კონვეიერის რიტმის დამრღვევთა მიმართ.

კვირაში ერთხელ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განიხილავს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ვაგონების განტვირთვის მხრივ შექმნილ ვითარებას. დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა ორგანიზაციის შეფასებაზე ყოველთვიურად იმსჯელებს ცენტრალური კომიტეტი, ვაგონების დამუშავების შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად განიხილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, აგრეთვე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ პარტიულ კომისიებს რეკომენდაცია ეძლევათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი შესაბამის რეგიონებში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა დროულ, შეუფერხებელ შესრულებას.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

სწავლობენ მოკმე უნგრეთის აგრარულ გამოცდილებას

(დასასრული)

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ი. კოვაჩმა. — დიდად გვახარებს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებამ საერთაშორისო აღიარება პოვა, — თქვა მან, — მინდა აღვნიშნო, რომ ამ განვითარებას საფუძვლად უდევს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის თანამიმდევრული აგრარული და სოციალური პოლიტიკა, რომელმაც უზრუნველყო დარგის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ჩვენი წარმატების მეორე ფაქტორია მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა უფადმივი შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება. დიდი სარგებლობა მოგვიტანა, — თქვა შემდეგ ამხ. კოვაჩმა, — სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით სსრ კავშირის მოწინავე აგრარული გამოცდილების გაცნობამ, ამიტომაც ისე გულდასმით ვემზადებოდით ამ კონფერენციისათვის, რომლის მთავარ პრინციპად მიგვაჩნია გამოცდილების ფართო ორმხრივი გაზიარება.

დილისა და საღამოს სხდომებზე დამსწრეთ მოისმინეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო-ეკონომიკური განყოფილების გამგის მოადგილის ე. უუფის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილის ი. კოვაჩის, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორის გ. დ. აგლაძის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოოპერაციისა და ეკონომიკის სამმართველოს უფროსის ვ. მიშის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტექნიკური განვითარების სახელმწიფო კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ა. ლუგელის მოხსენებები. კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს დოკუმენტური კინოფილმი „უნგრეთის სოფლის მეურნეობა“.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ზუსტად ვიხელმძღვანელოთ შრომის დაცვის კანონმდებლობით

სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის მრეწველობის სამინისტროსა და მონტაჟსაეცმშენის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოში, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ, უხეშად ირღვევა შრომის დაცვის კანონმდებლობა, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები.

თუმცა გასულ წელთან შედარებით 1980 წელს ამ საწარმოებში რამდენადმე შემცირდა უბედური შემთხვევების რიცხვი, მაგრამ ტრავმატიზმის დონე ჯერ კიდევ მაინც მაღალია.

ზოგიერთი საწარმოს ადმინისტრაცია უბედური შემთხვევების გამოძიების შედეგების მიხედვით არ ახორციელებს საკმარის ღონისძიებებს მათი წარმოქმნის მიზეზების აღმოსაფხვრელად, არ ხდის მათ მსჯელობის საგნად პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სხდომებზე, ყოველთვის არ სთხოვს პასუხს დამნაშავეებს. გარდა ამისა, არ უზრუნველყოფენ ეფექტიან კონტროლს ტრავმატიზმის თავიდან აცილების დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციისადმი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მოწყობილი შემოწმების მასალების ანალიზი მოწმობს: უბედური შემთხვევები იმის გამო ხდება, რომ უხეშად ირღვევა უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები, სამუშაოზე უშვებენ პირებს, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია, დაბალია საწარმოო დისციპლინა, არ იციან სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესები, არ გადიან ინსტრუქტაჟს, აგრეთვე გაუმართავია მოწყობილობა და მექანიზმები.

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის, საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხნებში და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში უხეშად არღვევენ უსაფრთხოების ტექნიკის წესებს ელექტროდანადგურების ექსპლოატაციის დროს.

საწარმოო სანიტარიის ნორმებს არ იცავენ თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნებსა და თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“.

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნებში დაირღვა ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის მარგულირებელი კანონმდებლობა.

ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში სამუშაოებზე მუშათა უკანონო მიზიდვის ფაქტები გამოვლინდა თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში და „საკლიფტმონტაჟის“ ტრესტის ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, რაც მოხდა სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის მრეწველობის სამინისტროსა და მონტაჟსაეცმშენის სამინისტროს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგიერთ საწარმოში, აგრეთვე თბილისის საწარმოო გაერთიანებაში „ჩარხმშენებელში“, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში, თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხანაში, „საკლიფტმონტაჟის“ ტრესტის ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოსა და ეკონომიკის სამმართველოს უფროსის ვ. მიშის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ტექნიკური განვითარების სახელმწიფო კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ა. ლუგელის მოხსენებიანი კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს დოკუმენტური კინოფილმი „უნგრეთის სოფლის მეურნეობა“.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

გავზარდოთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა

აფხაზეთის სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

აფხაზეთის მშენებლები სტაბილურად ასრულებენ ბინების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებს. მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ცხრა თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა 47 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. ზრდამ კაპიტალური დაბანდების ათვისებასა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებაში 15 პროცენტი შეადგინა.

მაგრამ, როგორც აფხაზეთის სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, კაპიტალურ მშენებლობაში საქმის მდგომარეობა მთლიანად როდი შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. აქტივზე გაანალიზეს მშენებლობის ტემპის ჩამორჩენის მიზეზი, განაზოგადეს მოწინავე გამოცდილება. მოხსენება გააკეთა აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. უბილავამ.

ავტონომიურ რესპუბლიკაში, აღნიშნეს კრებაზე გამოსულმა ორატორებმა, განუხრელად მაღლდება პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებებისადმი კაპიტალურ მშენებლობაში საქმეთა მდგომარეობისათვის. გამართლდა მუშაობის ორგანიზაციის ისეთი ფორმა, როგორიცაა მშენებლობის საოლქო, საქალაქო და რაიონული შტაბები, რომლებიც მაკორდინირებელ როგოლს შეადგენენ სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობისადმი ოპერატიულ კონტროლში. პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა რეალიზაციაში აფხაზეთის სსრ რესპუბლიკას დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს რესპუბლიკური შტაბი.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაძლიერდა ასამუშავებელ და უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე სახსრების, შრომითი და მატერიალური რესურსების კონცენტრაციის პროცესი, სრულდება საიჯარო სამუშაოთა გეგმები.

მაგრამ კაპიტალურ მშენებლობაში შესამჩნევი დადებითი ძვრების მიუხედავად, სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში ჯერ კიდევ არის გადაუწყვეტელი საკითხები, სერიოზული ნაკლოვანებანი. განვლილ 9 თვეში არ ათვისებულა 19,4 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება, მთლიანად არ შესრულებულა 4 მილიონ მანეთისაზე მეტი საიჯარო სამუშაოები, არ ამოქმედდებულა 29,385 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები. არ შესრულებულა მთელი რიგი ასამუშავებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი.

ჯერ კიდევ გრძელდება მრავალრიცხოვან მშენებლობებზე სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაქსაქსვის პრაქტიკა.

საგანგებოდ აღინიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობის ბევრი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით სისტემატური ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია უწინარესად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საქვეუწყებო საიჯარო ორგანიზაციათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომლებმაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 81 პროცენტით შეასრულეს და ვერ ათვისეს თითქმის 6 მილიონი მანეთი.

ყველგან როდი წარმოებს თანამიმდევრული, მტკიცე და პრინციპული ბრძოლა მშენებლობის ფეხების მუშაკებს, ხელმძღვანელის მოადგილის დონეზე, ეკისრებათ პასუხისმგებლობა ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის ორგანიზაციისათვის. ყოველდღიურად, მათ შორის დასვენების და უქმე დღეებში, ისინი მოვალენი არიან დილის 9 საათიდან 11 საათამდე უშუალო კავშირი იქონიონ რკინიგზასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, სხვა ორგანიზაციებთან.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ოთხშაბათობით ამიერკავკასიის რკინიგზის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ ვაგონების განტვირთვის საკითხებს, მიიღებენ შესაბამის ზომებს სატრანსპორტო კონვეიერის რიტმის დამრღვევთა მიმართ.

კვირაში ერთხელ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განიხილავს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ვაგონების განტვირთვის მხრივ შექმნილ ვითარებას. დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა ორგანიზაციის მოადგეგებზე ყოველთვიურად იმსჯელებს ცენტრალური კომიტეტი, ვაგონების დამუშავების შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად განიხილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, აგრეთვე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ პარტიულ კომისიებს რეკომენდაცია ეძლევათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი შესაბამის რეგიონებში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა დროულ, შეუფერხებელ შესრულებას.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).



ფარა გზაშია

საქართველოს ექვსი მეცხვარეობის რაიონის მეურნეობათა ფარები დაღესტნის სსრ რესპუბლიკის ყიზლარის ზამთრის საძოვრებისაკენ მიეშურებიან.

წინ არის დარიალის ვიწრო ხეობა, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, სტავროპოლის მხარე — ძნელი 500-კილომეტრიანი ტრასა, რომელიც ერთ თვეში უნდა გაიარონ ფარებმა — 800 ათასმა ცხვარმა.

სურათზე: ცხვრის გადარეკვა საქართველოს სამხედრო გზაზე; დუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწყემსები დავით ვარდამაშვილი (მარცხნივ) და ბესიკ ჯავახიშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ზრუნვა რენტაბელურ მეცხვარეობაზე

მეცხვარეობა ოდითგანვე ჩვენში ყველაზე შემოსავლიანი იყო, მაგრამ ეს დარგი ბევრ მეურნეობაში წლითიწლობით ზარალიანი ხდება. ბინათმშენებლობის, საკვების დამზადების, ჯიშობრივი გაუმჯობესების, პროფილაქტიკა-მკურნალობისა და ცხვრის მოვლა-პატრონობისათვის გაწეული ხარჯების ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, პროდუქტიულობა არ გაუმჯობესებულა. ეს იმის მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცხვარეობის გარდაქმნისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული მეცნიერების მიღწევებზე დაფუძნებული ეფექტიანი ღონისძიებები, რომლებიც დროის მოთხოვნებს შეესაბამება. მაგალითად, ჩვენი სამრეწველო მეცხვარეობა ეროვნული საძოვრების რაციონალურ გამოყენებას ემყარებოდა, მაგრამ თითქმის მთლიანად გამოითშა ცხვრის გადასარეკი ტრასა და გარდამავალი საგარეულები, მკვეთრად შემცირდა ზამთრის საძოვრები და სხვა. ცხვრის შენახვის სისტემა კი ძირითადად ისევ ძველებურია, რაც უარყოფითად მოქმედებს როგორც სულადობის შენარჩუნებაზე, ისე პროდუქციის წარმოების დონეზე.

ცხვრის ხორცის წარმოების ეფექტიანი გზა ცხვრის წონისა და ნერბის მრავალნაყოფიერების გადიდება, ერთ დადოლებაზე ორი და მეტი ბატკნის მიღებაა. ეს ღონისძიებები დარგის რენტაბელობას დიდად გაზრდის.

ჩვენი გამოანგარიშებით, წელიწადში ერთ ნერბზე 2 ბატკნის გამოზრდისას თითოეული კილოგრამი ბატკნის ხორცის მიღებას მოხმარდება ერთ ცალად გამოზრდილი ბატკნის წონა-მატებაზე დახარჯული საკვების 65 პროცენტი.

საკვებსა და მოვლა-პატრონობაზე გაწეული ხარჯების მკვეთრი შემცირება შეიძლება. ცხვრის ადრეული დოლის წყალობითაც. საქმე ის არის, რომ 500-ზე მეტი ჯიშიდან იმერული, ოსტფრისლანდური და კიდევ რამდენიმე სხვა ჯიშის ცხვარს უნარი აქვს ბატკანი მოიგოს 11-14 თვის ასაკში. დანარჩენი სამრეწველო ჯიშების ცხვრები ძირითადად ორი წლის ასაკში დოლდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი შენახვისათვის გაწეული ხარჯები 2 წლის განმავლობაში მხოლოდ მატყლით ნაზღაურდება.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმერული, ფიხური ლანდრასი, რომანოვული და ზოგიერთი სხვა ჯიშის ცხვრები ზოგჯერ 5 და იშვიათად მეტ ბატკანსაც იგებენ. მაგრამ, რაც უფრო მეტი ბატკანი დაიბადება ერთად, მით უფრო სუსტები არიან ისინი და ყველას გამოზრდა ძნელდება. ამიტომ სელექციის შემწეობით უნდა გაძლიერდეს მხოლოდ ზოგიერთი ჯიშისათვის (მათ შორის იმერული ცხვრისათვის) დამახასიათებელი ძვირფასი თვისება — პოლიესტრულობა, ანუ წლის ყველა დროს გამრავლების უნარი (სხვა ჯიშების დიდი უმრავლესობა ჩვეულებრივ მხოლოდ გაზაფხულზე დოლდება).

ამ მხრივ თუშური და იმერული ჯიშის ცხვრები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. თუშური პირველად ბატკანს 2 წლისა იგებს, იმერული — ერთი წლისა. თუშური ცხვრის დადოლებებს შორის პერიოდი საშუალოდ 11,3 თვეა, იმერულისა კი 6-7 თვე, თუშური ცხვარი წელიწადში 0,85-0,95 ბატკანს იგებს საშუალოდ, იმერული კი 1,5-დან 3,5-მდე.

მრავალნაყოფიერების, ადრეულობისა და პოლიესტრულობის ერთად შერწყმის შემწეობით იმერული ცხვრის ისეთი ოჯახებია, რომლებიც იგებენ და ადამიანის დახმარებით წელიწადში 2,5-5,0 ბატკანს ზრდიან.

უკეთეს შემთხვევაში 3,5 წლის თუშურ ცხვარს შეიძლება ჰყავდეს 2-3 ბატკანი, იმერულ ნერბს კი 6-12.

იმერული ცხვრის ძირითად ნაკლად ითვლება მცირე წონა და ნაპარსი. თუშაც ეს ნაკლი სელექციური მუშაობის შედეგად შეიძლება გამოსწორდეს. ამ მიზნით ჩრდილოკავკასიური რომნი-მერინოსის და ოსტფრისლანდური ერკემლები შეეჯვარეთ ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებულ ჯიშებს და სასურველი შედეგებიც მივიღეთ როგორც ხორცის, ისე მატყლის წონის გადიდების მხრივ. გამრავლების, ცხოველმყოფელობის, მომთაბარეობის პირობებისადმი გამძლეობის და პროდუქტიულობის მონაცემებით პირველი თაობის ნაჯვარები ხალასი ჯიშის ცხვრებს აღემატებიან. ყოველივე ამან იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც ბარში საირიგაციო ქსელი ფართოდ ვითარდება, რომელიმე ჯიშის საწარმოო გამოყენებისათვის ხალასი ჯიშის ცხვრის მოშენება რენტაბელური არ არის. ეკონომიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ისეთი ცვლადი სამრეწველო შეჯვარების გამოყენება, რომლებშიც სადგამი ნერბების დიდი გამრავლების უნარი ჰეტეროზისის მკვეთრ გამოვლინებასთან იქნება შერწყმული.

ჰეტეროზისის უფრო ეფექტიანი გამოყენებით (როცა შესაჯვარებელ წყვილად შერჩეული იყო ქართული და ოსტფრისლანდური ჯიშის ცხვარი) მივიღეთ ბატკანი, რომლის ცოცხალი მასაც 6-7 თვის ასაკში 42-48 კილოგრამი იყო, ანუ იმდენი, რამდენსაც ხალასი ჯიშის ოსტფრისლანდური ბატკანი იწონიდა. საგულისხმო ის არის, რომ ჰეტეროზისის და, საერთოდ, შეჯვარების გზით ხალასი ჯიშისთვის დამახასიათებელი ცოცხალი წონა მიღებული იყო ძირითადი სადგამი პირუტყვისთვის მიცემული საკვების 1,6-ჯერ შემცირებით. ამასთან მატყლის გამოსავლიანობა 2,2-ჯერ, 2,3-ჯერ გაიზარდა.

ლომთაგორის მეცხვარეობის საკოლ მეურნეობაში 1970 წელს შემოყვანილი იმერული ცხვრის ნამატიდან ჯერ კიდევ შემორჩენილია 250 ნერბი. მათ მომთაბარეობის ჩვეულებრივ პირობებში ინახავენ. მეურნეობის დირექტორის ო. ლაშხის ცნობით, ეს ცხვრები წელიწადში ორჯერ დოლდებიან და თითოეული საშუალოდ 2,4 ბატკანს იგებს, დიდი გამრავლების უნარის მქონე იმერული ცხვრის აღდგენის, სრულყოფის და მომრავლების მიზნით 1977 წელს ბიჯოლოში შეიქმნა სანაშენე. მაგრამ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ჯერ კიდევ ჭეროვანი ყურადღება არ ექცევა.

მეორე ფერმა საჩხერის რაიონის კორბოულის საბჭოთა მეურნეობაშია, სადაც მხოლოდ 100 ნერბი ჰყავთ. საძოვრები და სხვა საკვები რესურსები საშუალებას იძლევა ნერბის სულადობა 400-მდე გაიზარდოს.

საჭირო საჩხერის რაიონის კორბოულის მეცხოველეობის კომბინატი ფერმაში ცხვრის სულადობა გაიზარდოს 400 ნერბამდე, დამატებით შეიქმნას მეცხვარეობის ფერმები ჭიათურისა და თერჯოლის რაიონებში; მათ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გამოუყოს ფონდები ბინათმშენებლობისათვის, სახნავი ფართობი და საძოვარი იმ მოცულობით, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მეურნეობათა მოთხოვნილებას.

თუშურ ნერბებთან სელექციირებული იმერული ერკემლების შეჯვარებით მეცხვარეობის რაიონებში უნდა შეიქმნას დიდი გამრავლების უნარის მქონე ნერბების ჰიბრიდული ფარები. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შეიმუშაოს და სამეურნეო ორგანოებს დადასტურებულად გამოიყენება დრეკადი ელემენტები: ჯაჭვი, ღვედი, ბაგირი და ა. შ. გარდა ამისა, ასეთ მუშა ორგანოებში შენარჩუნებულია ჭრის მუდმივი სიჩქარე, რაც ტექნოლოგიური პროცესის შესრულების თვალსაზრისით ოპტიმალურია, მასში ფაქტობრივად ლიკვიდირებულია ვიბრაციის წარმომშობი მიზეზები და თვით წარმოადგენს ვიბრაციის ჩამსბობ საშუალებას. აღნიშნულ საკითხზე საჭიროა განსორციელდეს სათანადო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რათა დადგინდეს მუშა ორგანოების რაციონალური პარამეტრები: ჭრის სიჩქარე, დრეკადი ელემენტის წინასწარი დაჭიმულობა, გრძივი მასა, სიხისტე და მათი ოპტიმალური თანაფარდობა.

ვიბრაციისა და ხმაურის შესუსტებისათვის მისი გავრცელების გზაზე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში იყენებენ მაყუჩებს, სპეციალურად მოწყობილ კაბინებს, ამორტიზატორებს და საკოსტრუქციო მასალებს. აქედან ხელის აპარატებისათვის უკანასკნელი ორი საშუალება გამოდგება. ფართოდ უნდა გაიშალოს სამუშაობები, რათა გაზომილი და განგარიშებული იქნეს აპარატების ვიბრაციისა და ხმაურის სპექტრები ანალიზატორებით. ეს საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მაქსიმალური საწყისი ინფორმაცია რხევის პროცესების შესახებ. მცირე ვიბროაქტიური აპარატების დაპროექტებისათვის აუცილებელია დამყარდეს ზამოკიდებულება ვიბრაციისა და ხმაურის პარამეტრებსა და აპარატის კონსტრუქციულ, ტექნოლოგიურ, ექსპლოატაციურ ფაქტორებს შორის. უკანასკნელი შესაძლებელია რხევის თეორიის ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიც არის სანგარიშო ბიოდინამიკური მოდელების შექმნა.

ი. რთველიაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის დაცვის და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი;
თ. ლორთქიფანიძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვეგრძოლოთ ვიბრაციას

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მექანიზაციასა და ავტომატიზაციას სიკეთესთან ერთად თან სდევს მთელი რიგი ისეთი ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და იწვევს პროფესიული დაავადებების წარმოშობის საშიშროებას. მათ შორის ყველაზე არასასურველია ხმაური და ვიბრაცია, თუ დასაშვებ ნორმას სჭარბობს.

სახელმწიფო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ადამიანის შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ჯანფასეულ დაავადებათა წარმომშობი მიზეზების თავიდან აცილებისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ამასთან, სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს, რომ მწყობრიდან მანქანების ნაადრევი გამოსვლისა და ავარიების მიზეზი ძირითადად სწორედ ვიბრაციაა.

მანქანების მცირე ვიბროაქტიურობა დღეისათვის გადაიქცა ხარისხის ერთ-ერთ ძირითად განმასაზღვრელ კრიტერიუმად. ახლა მანქანების შეფასებისათვის საკმარისი აღარ არის მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ მათი მწარმოებლობა, ენერგეტიკული მონაცემები, წონა, გაბარიტები და სხვა მაჩვენებლები. მცირე ვიბროაქტიური მანქანების დაპროექტების და დამზადების ტექნოლოგიას სათანადო მეცნიერული საფუძველი უნდა შეეუქმნათ. ხვალ ამ საქმის გაკეთება უდავოდ გვიან იქნება.

მცირე ვიბროაქტიურ მანქანებსა და მექანიზმებს განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება ხელის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნის დროს. ამით ხმაურს და ვიბრაციას მათი წარმოშობის ადგილებზევე შევამცირებთ. სწორედ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მეტად აქტუალურ საკითხს შეეხო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ხვინგიას და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. მელიას სტატია — „ხვალ გვიან იქნება“. უდავოდ, ყველამ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს მთაგორიან სოფლის მეურნეობაში დიდმწარმოებლური მცირე ვიბროაქტიური ხელის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნას და გამოყენებას.

ხმაურსა და ვიბრაციას ერთი საერთო გამომწვევი მიზეზი აქვს — მექანიკური რხევა, და უკვე დროა მანქანებში და განსაკუთრებით კი ენერგიის გადამცემ მექანიზმებში წინასწილი-უკუსვლითი მოძრაობიდან გადავიდეთ განუწყვეტელ მოძრაობაზე და თავიდან ავიცილოთ ნიშანცვალებადი ინერციის ძალების მავნე მოქმედება. ამით ჩვენ დავიცავთ ადამიანს ვიბრაციისა და ხმაურისაგან, საგრძნობლად გავზრდით მანქანის მუშაობის უნარიანობას, მის ტექნოლოგიურ სიჩქარეებს და შესაბამისად — მანქანა-დანადგარების მწარმოებლობას. საგრძნობლად შემცირდება ენერგიისა და ლითონის ხარჯი, მათი დამზადების თვითღირებულება, გაუმჯობესდება ექსპლოატაციის პირობები, შემცირდება მოშსახურე პერსონალის დენადობა, ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, და ყოველივე ეს კომპლექსში დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

უახლოეს წლებში ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში, რომელთა საგრძნობი ნაწილი მთაგორიან და მცირეკონტურიან ნაკვეთებზეა განლაგებული, ხელის შრომა მთლიანად უნდა შეიცვალოს მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით. მთამა მასობრივმა გამოყენებამ კი შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა პროფესიული დაავადების წარმოშობის პოტენციური საშიშროება, თუ საამისოდ წინასწარ არ ვიბრაციისა და ხმაურის შესუსტება გავრცელების გზაზე.

ვიბრაციისა და ხმაურის ჩახშობა მის წარმომშობ წყაროში აქტიური მეთოდია და გულისხმობს ძრავისა და მუშა ორგანოს მექანიზმის სრულ გაწონასწორებას, ან ისეთი მუშა ორგანოების შექმნას, რომლებშიც

მუსიკისა და მეგობრობის დღესასწაული

22-29 ოქტომბერი. საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალი საქართველოში

...ირიოდე დღეც, და ჩვენი რ...ლიკის დედაქალაქში საბჭოთა ...ის დღესასწაულის ცენტრი ...ება. აქ საზეიმოდ გაიხსნება ...თა მუსიკის საკავშირო ფე...ალი, რომელიც ჩვენი მუსი...ური კულტურის, მის მიღწე...ის და ქვეყნის მუსიკოსების შე...ედეგებითი თანამშრომლობის ...ემონსტრაცია იქნება.

...ალის ესტუმრებიან მოსკო...ლენინგრადის და სხვადასხვა ...ესპუბლიკის საუკეთესო მხატვ...ის კოლექტივები და სოლის...ები, რომლებიც შეასრულებენ ...ესი საბჭოთა მუსიკის ყვე...ზ მნიშვნელოვან ქმნილებებს. ...ესტივალი გამოირჩევა თავისი ...ტაბით, ეროვნული მრავალფე...ებითა და გეოგრაფიით. ...ორც ფესტივალის მთავარ ...ში გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს აცნობეს, გარდა თბილისისა, კონცერტები გაიმართება სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ცხინვალში, თელავში, ბიჭვინთაში, გაგრაში, სოღნაღში, საგარეჯოში... ფესტივალის პროგრამაშია ხელოვნების დარგის მუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრები, საქართველოს კულტურული ცხოვრების გაცნობა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პლენუმი...

ფესტივალის საკონცერტო ფაზაში მდიდარი და მრავალფეროვანია.

ქართველი მსმენელები შეხვდებიან საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს დიდ სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორ ვ. ფედოსეევის ხელმძღვანელობით, მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ სიმფონიურ ორკესტრს დ. კიტაენკოს დირიჟორობით, სომხეთის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, მოსკოვის კამერულ საოპერო თეატრს, აგრეთვე ლენინგრადის, კიევის, ერევნის, ვილნიუსის კამერულ ორკესტრებს.

ფესტივალის დღეებში კონცერტებს გამართავს ესტონეთის გაჟთა გუნდი (მხატვრული ხელმძღვანელი — გ. ერნესაქსი) და მოსკოვის კამერული გუნდი ვ. მინინის დირიჟორობით, ქალაქების ვილნიუსისა და კალინინის კვარტეტები.

ამ კოლექტივებთან ერთად კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები: ე. ობრაზცოვა, ნ. გუტმანი, ო. კოგანი, ნ. შახოვსკაია, ა. პიკაიზენი, მ. ყისლინი, ვ. ფეიგინი, ლ. თორადე და სხვ.

თავიანთ სტუმრებს იტყვიან ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები. მსმენელთა წინაშე გამოვა საქართველოს სსრ სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი ჯ. კახიძის დირიჟორობით, ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი ტ. დუგლაძის დირიჟორობით, სახელმწიფო საგუნდო კაპელა გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო ფილარმონიის კვარტეტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფესტივალის პროგრამა ეროვნული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ფესტივალის რეპერტუარშია თითქმის ყველა ჟანრი: ოპერა, ბალეტი, სიმფონია, საინსტრუმენტო მუსიკა, სიმღერა, მინიატიურა.

თბილისი დიდი მუსიკალური დღესასწაულის მოლოდინშია.

საყოველთაოდ აღიარებულ და ცნობილ კომპოზიტორთა ქმნილებებთან ერთად აღიერდება ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ფესტივალის სტუმრები და მონაწილეები გაეცნობიან სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ახალ ოპერას „პირველ სიყვარულს", რ. ლაღიძის ოპერა „ლელას" და სხვ.

ფესტივალის დღეებში თბილისში გაიმართება სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტ. ხრენიკოვი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა ორგანიზაციის მუშაობა პარტიის XXVI ყრილობის მიხედვით. „მოხსენებითა ირგვლივ გაიმართება დისკუსია, რომელზეც განიხილება მუსიკალური ცხოვრების აქტუალური პრობლემები.

თბილისში წარმოდგენილი იქნება მრავალი ცნობილი კომპოზიტორის შემოქმედება, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირების, სსრ კავშირის სახალხო არტისტების ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატების ტ. ხრენიკოვისა და გ. სვირიდოვის საავტორო კონცერტები.

ფესტივალის პროგრამაშია საბჭოთა სიმღერის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპოზიტორები.

საბჭოთა მუსიკის დღესასწაული 29 ოქტომბერს დამთავრდება.

რევაზ ლაღიძე



საქართველოს მუსიკალურმა კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა: ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რევაზ ილიას ძე ლაღიძე. მთელი მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა მიეძღვნა მშობლიური მუსიკალური ხელოვნების სამსახურს, რომელშიც მან წარუშლელი კვალი დატოვა.

რ. ი. ლაღიძე დაიბადა 1921 წლის 10 ივლისს სოფელ მაიაკოვსკში. რ. ი. ლაღიძემ დაამთავრა თბილისის III მუსიკალური სასწავლებელი, სადაც ვიოლინის კლასში მეცადინეობდა, ხოლო 1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 1941-1952 წლებში უკრავდა სიმფონიურ ორკესტრებსა და თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში. 1960-1962 წლებში რ. ი. ლაღიძე ხელმძღვანელობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების მუსიკალურ რედაქციას. 1965 წლიდან იყო თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე. 1949 წლიდან იყო სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის წევრი და საქართველოს მუსიფონდის გამგეობის თავმჯდომარე.

კომპოზიტორის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელსაც აზის მკაფიო ინდივიდუალობისა და ოსტატობის ბეჭედი, მოიცავს სხვადასხვა ჟანრს — სიმღერიდან სიმფონიურ ნაწარმოებამდე. მისი შემოქმედების ცენტრალური თემა იყო თანამედროვეობა და მისი გამოვლინების მთელი მრავალფეროვნება. მის მრავალრიცხოვან ქმნილებებს ახასიათებს მგზნებარე პატრიოტიზმი, ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და ნათელი მომავლისადმი სიყვარული. ისინი ხოტბას ასხამენ მშრომელ კაცს, მშობლიური ხალხის ცხოვრებაში მომხდარ გრანდიოზულ გარდაქმნებს. ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება კანტატები „ლენინს" და „მოპაიჭეს ოქტომბერი", სიმღერები პარტიაზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმფონიური პოემა „მამულისათვის", ბრწყინვალებითა და გზნებით აღსავსე სიმფონიური სურათი „საჯიდაო" და სხვა. გასაოცარი ფუნქციონალობით გადმოსცა რ. ი. ლაღიძემ სამშობლოს მოწყვეტილი კაცის სევდა „ფერეიდნელი ჭაბუკის სიმღერაში". მისი პოპულარული „სიმღერა თბილისზე" კი საქართველოს დედაქალაქის მუსიკალური ემბლემა გახდა.

რ. ი. ლაღიძის ხატოვანმა, კოლორიტულმა, ხალისიანმა მუსიკამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ისეთი კინოფილმების წარმატებას, როგორიცაა „ხაბუდარელი ჭაბუკი", „ნინო", „შეწყვეტილი სიმღერა", „ზვიგენის კბილი", „ხევსბერი გოჩა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ხევსურული ბალადა", „წუთისოფელი", „ბლბის ნაამბობი", „კეთილი ადამიანები" და სხვა. ბევრმა სიმღერამ, რომელიც ეკრანიდან გაისმა, ფართო პოპულარობა მოიპოვა. მისმა ორმა მუსიკალურმა კომედიამ „კომბლემ" და „მეგობრებმა", მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა თეატრის რეპერტუარში. უკანასკნელ წლებში რევაზ ლაღიძემ შექმნა დიდი ფორმის ნაწარმოები — ლირიკულ-ტრაგიკული ოპერა „ლელა", რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე და საზღვარგარეთ — სლოვაკიის ქალაქ კოშიცეში...

რევაზ ლაღიძემ, რომელიც შემოქმედებითად ეკიდებოდა ეროვნულ მუსიკალურ ფოლკლორსა და ქართული კლასიკური მუსიკის შესანიშნავ ტრადიციებს, შექმნა თავისი მკაფიო თავისთავადობით გამორჩეული, თანამედროვეობის სულისკვეთებით აღსავსე მუსიკალური ენა.

რ. ი. ლაღიძემ მშობლიური ხალხის უდიდესი სიყვარული და აღიარება მოიპოვა. მისი შემოქმედება ღირსეულად დაფასა სამშობლომ, იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და სახატიო ნიშნის ორდენებით, მედლებითა და სიგელებით, მას მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, საქართველოს კომკავშირის, რუსთაველის სახელობის, ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის პრემიები.

ნიჭიერი კომპოზიტორი, მზრუნველი პედაგოგი, ნამდვილი მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე — ასეთი იყო და ასეთად დარჩება რევაზ ლაღიძე თანამედროვეთა გულში, მადლიერი ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. ნ. დემიჩევი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. ბ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მელთეშაშვილი, ზ. ა. პაპარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ფიფანაძა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. აფლეანი, ნ. ნ. ფოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ტ. ნ. ხრენიკოვი, ნ. შ. ჯანბერიძე, ვ. თ. კუხარსკი, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ნ. ვ. გურგენიძე, ბ. ვ. ბალანჩიბაძე, ა. დ. მაჰაპაანი, შ. მ. მშველიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ბ. შ. ორჯონიკიძე, დ. ა. ალექსიძე, ე. დ. ამაშუკელი, ე. ნ. შენგელია, რ. ა. ზაქიდრ ინი, ა. ი. ეშპაი, ბ. ვ. სვირიდოვი, ა. ნ. პაპაშუტოვა, ა. ა. კეტროვი, უ. ა. ქარაევი, ე. მ. მირზოიანი, ნ. ა. ძანია, ნ. შ. ვასაძე, ზ. ი. ანჯაფარიძე, ი. ო. ანდრიაძე, რ. დ. ჩხეიძე, ს. თ. ციხცაძე.

20 ოქტომბერი ბულგარეთის სახელმწიფოს დღეა

მოგავლის უძველესი რწმენა

ბოლო ოც წელიწადში რამდენიმე ისტორიული იუბილე ფართოდ აღინიშნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. ესენი სლავური დამწერლობის 1100, ოსმაზთა ულოსაგან განთავისუფლების 100, აპრილის აჯანყების 100 წლის თავი, და აი, მიმდინარე წელს ბულგარეთის სახელმწიფოს 1300 წლის თავი.

ბულგარეთი ერთ-ერთი უძველესი ევროპული სახელმწიფოა. იგი დაარსდა 681 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში „რამდენიმე საუკუნის წინათ აქ დამკვიდრებული სლავური მოსახლეობის და ნეკერიდან და ყუბანიდან ხან ასპარუხის ხელმძღვანელობით მოსული პროტობულგარელების გაერთიანების შედეგად და იგი დამკვიდრდა როგორც ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ხანგრძლივი სახელმწიფო-პოლიტიკური ერთეული აღმოსავლეთ ევროპაში.

ჩვენი ხალხი ამ იუბილეს აღიქვამს არა როგორც მარტო თავის ეროვნულ დღესასწაულს, არამედ როგორც საყოველთაო საკაკრბრო ცივილიზაციის დღესასწაულს. შუასაუკუნეობრივმა ბულგარულმა კულტურამ, რომელმაც იმ დროისათვის თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, პროგრესული გავლენა მოახდინა როგორც სლავური ქვეყნების, ისე სხვა შორეული თუ მახლობელი სახელმწიფოების კულტურის განვითარებაზე. ეს შესაძლებელი გახდა მაღალგანვითარებული დამწერლობისა და ლიტერატურის, მონუმენტური მშენებლობის, სახვითი ხელოვნების შედეგად.

დღეს, ბულგარეთის საიუბილეო წელს, ჩვენს ქვეყანაში მრავალნაირი საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიება ხორციელდება. ჩვენი ხალხი ამ თარიღს ხვდება ახალი საწარმოო წარმატებებით. იუბილეს მიეძღვნა მრავალნაირი ინიციატივა სხვა ქვეყნებშიც. მათი მიზანია მსოფლიოს ხალხებს გააცნოს ბულგარეთის ისტორიის ღირსსახსოვარი მომენტები, თანამედროვე ბულგარეთის წარმატებები სოციალიზმის მშენებლობაში.

ჩვენი ხალხი გონების თვალს ავლებს სახელმწიფოს მიერ განვლილ მრავალსაუკუნოვან გზას. ეს იყო ძნელი გზა, ეროვნული დამკვიდრების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლაში ყალიბდებოდა ბულგარული ხასიათი — ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული, ცოდნისადმი სწრაფვა, სხვა ხალხების პატივისცემა.

ბულგარელი ხალხი ხედავს, თუ რარიგ გამოკვეთილია მის ისტორიაში ბოლო 37 წელიწადი, სოციალისტური აღმშენებლობის წლები. ოდესღაც ბულგარეთი ცნობილი იყო როგორც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფო. მას თითქმის არ ჰქონდა ინდუსტრია, რომ არაფერი ვთქვათ მძიმე მრეწველობაზე. სოფლის მეურნეობა მცირეპროდუქტიული ...ბულგარეთის კომპარტიის XII ...ილობამ დაამტკიცა მერვე ხუთწლედში (1981-1985 წ. წ.) და 1990 წლამდე პერიოდისათვის ბულგარეთის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დარგში პარტიის საქმიანობის თეზისების პროექტი. ახლანდელი ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა ხალხის მზარდი მატერიალური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების კომპლექსური დაკმაყოფილება სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, ახალი ეკონომიკური მექანიზმის თანამიმდევრული გამოყენებისა და სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფის საფუძველზე.

მრავალისმეტყველი ფაქტები მოწმობს, რომ პარტიის მრავალმხრივი, მუშაობის ყურადღების ცენტრშია დევიზი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!" მერვე ხუთწლედში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 30-35 პროცენტით გაიზრდება. წარმოების ისეთ წამყვან დარგებში, როგორიც ელექტრონიკა, ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, მძიმე მანქანათმშენებლობა, ქიმია და მეტალურგიაა, იგი ორჯერ და მეტად გაიზრდება.

ამ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, სამამული და უცხოური გამოცდილების დანერგვის დაჩქარებას. ახლანდელი ხუთწლედი ტექნიკური პროგრესის ხუთწლედი იქნება.

ბულგარეთის მუშათა კლასის აკვანს, რევოლუციონერთა ქალაქს უწოდებენ სლივენს. აქ თითქმის საუკუნე-ნახევრის წინათ შეიქმნა პირველი საფეიქრო ფაბრიკა, რომელმაც დასაბამი მისცა მრეწველობის ამ დარგის განვითარებას ბულგარეთში.

სურათზე: ქალაქ სლივენის ცენტრში.

ბტა-საქდესის ფოტო.

ამ პერიოდში კაპიტალდადანდება 38 მილიარდ ლევს შეადგენს. მატერიალურ სფეროში გამოსაყენებლად გათვალისწინებული სახსრების 70 პროცენტი მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციას, ტექნოლოგიის, ტექნიკის და შრომის ორგანიზაციის დარგში დაგროვილი გამოცდილების დანერგვას მოხმარდება. ეს ჩვენი ქვეყნისათვის დიდმასშტაბიანი კაპიტალდადანდებაა. საკმარისია ითქვას, რომ 1949-1979 წლებში, ესე იგი სოციალისტური მშენებლობის 30 წლის მანძილზე, კაპიტალდადანდებამ 71 მილიარდი ლევი შეადგინა. ეს ჩვენი ქვეყნის დიდ შესაძლებლობებსა და მისი ეკონომიკის სტაბილურობას მოწმობს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო და იქნება ძმური ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, დიად საბჭოეთთან, საბჭოთა ხალხთან.

„თავის 13-საუკუნოვან ისტორიაში, — თქვა ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობაზე ამხანაგმა ტოდორ ჟივკოვმა, — ბულგარეთს ჰყავდა გენიალური მოაზროვნენი და პოეტები, რევოლუციონერები და მხედართმთავრები. ჩვენ დღესაც ვამაყობთ მათი სახელებით. მაგრამ წინათ არასოდეს არ ჰყოლია ბულგარეთს ისეთი ხალხი, როგორიც დღეს ჰყავს, რომელსაც განათლების მაღალი დონე და დიდი კულტურა, ერთიანი ინტერესები, მიზნები, ესოდენ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი, თავისი ძალებისა და მომავლისადმი ურყევი რწმენა აქვს".

გიორგი ბოკოვი.
ბულგარელი პუბლიცისტი.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გაამოხმაურება

საკლესიისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღიურნალისტ ზურგზე

19 ოქტომბერი

იაპონია-სსრ კავშირი

მეგობრობის ახალი ეტაპი

ტოკიო. ქალაქ კოტიში (ხიროს კუნძული) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა იაპონია-სსრ კავშირის მეგობრობის სანადგურების განყოფილება.

...ანყოფილების ამოცანაა, კოტის პრეფექტურის მცხოვრებთ გააცნოს საბჭოთა სიმდიდრე, გაავიცელოს სწორი ინფორმაცია სსრ კავშირის შესახებ. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ პირობებში, როცა მმართველი წრეები ქვეყანაში აღვივებენ ანტისაბჭოთა ისტერიის კამპანიას, ...ელიც სრულიადაც არ შეესაბამება იაპონელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, განაცხადა განყოფილების გახსნის ცერემონიაზე იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის დირექტორმა ჰაძიმე ტაიმ.

...ეგობრობისა და კეთილმეზობლობის ინტერესებისათვის საბჭოთა ...ავშირთან ურთიერთობის გაფაფართოებლად მოძრაობა იაპონიაში ...ეთდება.

ირანი

წამოაყენეს კანდიდატურა

ტეირანი. ირანის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასახელებულ ...ალი აკბათ ველაიათის კანდიდატურა. ეს განაცხადა მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარემ ხაშენი რაფსანჯანიმ.

...ა. ველაიათი მეჯლისის დეპუტატი და მმართველი ისლამურ-რეაქციული პარტიის წევრი. 20 ოქტომბერს პარლამენტში გაიმართება კენჭისყრა ა. ა. ...ელაიათის ირანის მთავრობის ...ეთურად დასამტკიცებლად.

კოლონეთი

ლენუმმა მუშაობა დაამთავრა

ბარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმმა განიხილა ქვეყანაში ...ალი პოლიტიკური ვითარება ...ი პარტიის ამოცანები პოლონეთის გაერთიანებული მუშა...ი პარტიის საგანგებო IX ...ყრილობის გადაწყვეტილებათა ...ალიზაციის საქმეში. მოხსენება განხილვის დროს ორატორებ...ა პლენუმზე გააკრიტიკეს პოლონეთის გაერთიანებული მუშა...ი პარტიის ხელმძღვანელობა ...ის გამო, რომ ქმედითი ღონისძიებანი არ განახორციელა პოლონეთის გაერთიანებული მუშა...ი პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისთვის ქვეყანაში სოციალიზმის ...ეშენებად.

...ლენუმმა ერთხმად მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიური სიტუაციის ანალიზის მიზეთ გაანსაზღვრულია პარტიის ...ველა წევრის, პარტიული ორგანიზაციების, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ორგანოების ამოცანები.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო აგრეთვე მიმართვა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასებისადმი. „მასში ნათქვამია, რომ ეს მიმართვა ნაკარნახევია ქვეყნისა და ეკონომიკის ბედისათვის, სოციალიზმის პრინციპების შესაბამისად ქვეყნის პრობლემების მოწესრიგებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით..

ორგანიზაციული საკითხების განხილვის დროს ს. კანიამ პლენუმს სთხოვა გაეთავისუფლებინათ იგი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ვოიციეხ იარუზელსკი.

პლენუმზე თავის გამოსვლაში ვ. იარუზელსკიმ თქვა: კარგად მესმის, რომ პარტიამ მუშაობის ახალ უბანზე გამგზავნა. ახლა უმნიშვნელოვანესი პრობლემა, თქვა მან შემდეგ, ის არის, რომ ახდეს სიტუაციის შეცვლისა და გაუმჯობესების, კრიზისის დაძლევის, სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების იმედები.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს პოლონეთის კავშირს სსრ კავშირთან და მთელ სოციალისტურ თანამეგობრობასთან.

პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ინგლისი

აგრესიული გამოსვლა

ბლეიკული. აქ დამთავრდა მმართველი კონსერვატიული პარტიის 98-ე ყოველწლიური კონფერენცია. კონფერენციაზე გამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი.

უარყოფს რა მილიონობით ინგლისელის აზრს, მ. ტეტჩერმა კვლავ დაადასტურა, რომ მისი მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან ერთად განაგრძობს მილიტარისტულ პოლიტიკას, გააძლიერებს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ნატოს საომარ მზადებაში და ხელს შეუშლის დაძაბულობის შენელებას.

● თურქეთი

დაითხოვეს პარტიები

ანკარა. თურქეთში გამოაცხადეს, რომ დათხოვნილია ყველა პოლიტიკური პარტია.

როგორც თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, ახალი პარტიების შექმნა ნებადართული იქნება მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომლის შემუშავებასაც 23 ოქტომბერს შეუდგება სპეციალური საკონსულტაციო მეჯლისი.

სად რა მოხდა

ტრაგედია ჰიმალაიში

დელი. ათი იაპონელი მთამსვლელი დაიღუპა ჰიმალაიში ბოლო ორ კვირაში. მაშველმა რაზმმა ვერ მოაგნო შვიდი ჰოკაიოელი მთამსვლელის კვალს, რომლებმაც 6.645 მეტრი სიმაღლის ნანდა ქმატის პიკის დალაშქვრა გადაწყვიტეს.

ვარაუდობენ, რომ ისინი ზვავმა იმსხვერპლა.

შეწყდა აგრეთვე სამი იაპონელი სტუდენტის ძებნა, რომლებიც 6.480-მეტრიანი მწვერვალის უაიტ სეილის დაპყრობას ცდილობდნენ.

ამჯერად წარმატებით

ნიუ-იორკი. წარმატებით დამთავრდა საჰაერო ბურთით დაუშვებელი გადაფრენა ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპირომდე. იგი განახორციელეს ამერიკელებმა ჯ. შეფერატმა და ფ. გორლამ. საჰაერო მოგზაურობა დაიწყო კალიფორნიაში და 55 საათისა და 25 წუთის შემდეგ დამთავრდა საველოს კუნძულზე ჯორჯიის შტატის სანაპიროსთან. ეს იყო მამაც მოგზაურთა მეხუთე ცდა: ორი წინა ცდა მარცხით დამთავრდა უამინდობის გამო.

უჩვეულო რეკორდი

ნიუ-იორკი. დიდი გამძლეობისა და გამბედაობის უჩვეულო რეკორდი დაამყარა ჯ. ისტონის (მასაჩუსეტსის შტატი) 25 წლის მცხოვრებმა ბ. მაკლოგლინმა. 24 საათში იგი თვითმფრინავიდან პარაშუტით 235-ჯერ გადმოხტა. მეათე გადმოხტომმა მას კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა: პარაშუტი არ გაიხსნა და იგი იძულებული გახდა საბადარიგო პარაშუტით ესარგებლა.

ქართული ჰანგის მუშვენება

რევაზ ლაღიძე მჩქეფარე სიცოცხლის, საქართველოს დარიანი დღის მომღერალი, მისი დარდისა და ოცნების მესაიდუმლე, ქართული ჰანგის ლაზათი და მშვენება — მოგონებად იქცა და იმ მიწას უბრუნდება, რომლის ხოტბასაც სიცოცხლე შეალია.

და მაინც ვთქვათ ის, რაც ამ მწუხარებაზე დიდია: რევაზ ლაღიძეს ხალასი ნიჭი, მამულიშვილური გრძნობა და ეროვნული ტემპერამენტი დაუფასდა — გაგებამ დიდი ბედნიერება არგუნა: მშობლიური ერის თაყვანისცემა და საყოველთაო აღიარება. იგი ხალხისათვის წერდა და მისმა სიმღერამ ხალხის გულში დაისადგურა. მის მუსიკაში ქართველი კაცის სისხლი ჩქეფს, ქართველი კაცის ესთეტიკური და ზნეობრივი მრწამსია გამოხატული.

სიცოცხლის ტრფიალი რეზო ლაღიძე ყველაფერს რომანტიკული სიმძაფრით განიცდიდა. მან უმღერა თავის თანამედროვეთა სულიერ სისპეტაკეს, მშობლიურ ბუნებას, ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულს. წმინდა მოქალაქეობრივი გრძნობა — სამშობლოს ერთგულება მთელ მის მუსიკას აღამაღლებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მისი მუსიკა მუდამ სადაა და ამაღელვებელი, ლამაზი და, რაც მთავარია, კეთილი. დიახ, რევაზ ლაღიძის მუსიკა კეთილი ადამიანის კოდიდან წამოსული ჰანგია და ამას ნებისმიერი მსმენელი გრძნობს.

კიდევ ერთი რამ გამოარჩევდა მას, როგორც ადამიანს, და მის ხელოვნებასაც: ბუნებრიობა და უტყუარობა, ყველაფერში ბუნებრივი და მომხიბვლელი იყო რეზო: ბუნების წიაღშიც და სუფრასთანაც, ტოლ-ამხანაგებში და ოჯახშიც. ყველაფერი გამოსდიოდა, რადგანაც მის ყოველ მოქმედებას ჭეშმარიტად ადამიანური გრძნობა მეგზურობდა. რასაც კი ხელი შეახო, ყველაფერს თავისი დიდი ნიჭის დაღი დაასვა: ოპერასაც, სიმფონიურ და კამერულ მუსიკასაც. მაგრამ მისი ყველაზე ძლიერი სიყვარული სიმღერა იყო, და სიმღერამაც რევაზ ლაღიძე აირჩია თავის ნამდვილ მესაიდუმლედ.

მშვენიერი ქნარი დაიმსხვრა, მაგრამ ჰანგი მის მიერ აყალიბებული, მარადისობას ეკუთვნის!

გივი ორჯონიკიძე.

ხალხის სიყვარული

რევაზ ლაღიძის სახელს თავიდანვე ხალხის სიყვარული დაეგება, არა წუთიერი, არა დღეგაკლული, არამედ სამარადისო და ხავსმოუდებელი.

სხვისი სიხარულით ბავშვივით აღტაცებული, თვალცრემლიანი და მოზეიმე. ბევრს როდი შეესწევს უნარი მოყვასისადმი ესოდენ დიდი სითბო გაიღოს დაუშურველად, უანგაროდ, მისებურად ლაღად და შემართებით.

სიყვარული ახლდა მის გზას, რწმენა, ერთგულება, დაუზოგველი თავდადება და თაყვანისცემა სამშობლოსადმი. მამულის მზით არის გამთბარი მისი ყოველი მუსიკალური ბგერა.

სითბო და სიკეთე დაანწილა ფით ვრცელდებოდა და ვრცელდება საოპერო თუ საკონცერტო დარბაზების სცენებიდან, ეკრანებიდან, კინოსურათიდან. რამდენ მილიონ ადამიანს შეეყარა ჩვენი „დედაქალაქი" მისმა ჰეშმარიტად დიდებულმა ჰიმნმა „სიმღერამ თბილისზე".

რა დიდი აღტაცება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მისმა ოპერა „ლელამ". კიდით კიდემდე გაისმის მისი „სიმღერა სამშობლოზე" და „მოზეციური ბალადა", „საბუდარელი ჭაბუკი" და „ტყე შეუნახე შვილებსა", „ბალადა ვაზზე" და „საჭიდაო". რამდენი რამ, და მათ შორის, მშობლიური ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ეროვნულ გარდაქმნებს. ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნება კანტატები „ლენინს" და „მოპაიჭეს ოქტომბერი", სიმღერები პარტიაზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმფონიური პოემა „მამულისათვის", ბრწყინვალებითა და გზნებით აღსავსე სიმფონიური სურათი „საჯიდაო" და სხვა. გასაოცარი ფუნქციონალობით გადმოსცა რ. ი. ლაღიძემ სამშობლოს მოწყვეტილი კაცის სევდა „ფერეიდნელი ჭაბუკის სიმღერაში". მისი პოპულარული „სიმღერა თბილისზე" კი საქართველოს დედაქალაქის მუსიკალური ემბლემა გახდა.

რ. ი. ლაღიძის ხატოვანმა, კოლორიტულმა, ხალისიანმა მუსიკამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ისეთი კინოფილმების წარმატებას, როგორიცაა „ხაბუდარელი ჭაბუკი", „ნინო", „შეწყვეტილი სიმღერა", „ზვიგენის კბილი", „ხევსბერი გოჩა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ხევსურული ბალადა", „წუთისოფელი", „ბლბის ნაამბობი", „კეთილი ადამიანები" და სხვა. ბევრმა სიმღერამ, რომელიც ეკრანიდან გაისმა, ფართო პოპულარობა მოიპოვა. მისმა ორმა მუსიკალურმა კომედიამ „კომბლემ" და „მეგობრებმა", მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა თეატრის რეპერტუარში. უკანასკნელ წლებში რევაზ ლაღიძემ შექმნა დიდი ფორმის ნაწარმოები — ლირიკულ-ტრაგიკული ოპერა „ლელა", რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე და საზღვარგარეთ — სლოვაკიის ქალაქ კოშიცეში...

რევაზ ლაღიძემ, რომელიც შემოქმედებითად ეკიდებოდა ეროვნულ მუსიკალურ ფოლკლორსა და ქართული კლასიკური მუსიკის შესანიშნავ ტრადიციებს, შექმნა თავისი მკაფიო თ

რესპუბლიკის
რაიონებსა და
ქალაქებში

დუშეთი.

გვაცყობინებს

ჩვენი საკუთარი

კორესპონდენტი

ახალგაზრდული სასათბურე მეურნეობა

ბაზალეთში ტბის პირას ამ ორიოდე წლის წინათ აშენდა სასათბურე მეურნეობა-კომბინატი. მაშინ მხოლოდ სამ ჰექტარზე გაიშენეს მეურნეობა, ახლა კი მას ამდენსავე ჰექტარს უმატებენ. სასათბურე მეურნეობამ ზამთრის პერიოდში კიტრითა და პამიდორით უნდა მოამარაგოს დედაქალაქი. შარშან ხომ 300 ტონის ნაცვლად 400 ტონა კიტრი და პამიდორი მიაწოდეს თბილისს. აქაურმა მშრომელებმა თითოეულ კვადრატულ მეტრზე გათვალისწინებული 16 კილოგრამი ბოსტნეულის ნაცვლად მოიმსმარებელს 18 კილოგრამი კიტრი და პამიდორი მისცეს. წლეულს ყოველ კვადრატულ მეტრზე 20-21 კილოგრამი ბოსტნეული მოიწიეს.

დუშეთის სასათბურე მეურნეობა-კომბინატში 150-მდე კაცი შრომობს. მათ შორის თითქმის ნახევარი კომკავშირელები არიან. მათთვის მუშაობს კეთილმოწყობილი სასადილო, სადაც უფასოდ სადილობენ ხოლმე, აქვთ სპორტული მოედანი, გაყვანილია შიდა სატელეფონო ხაზი და ადგილობრივი რადიოკვანძი, მათთვის, ვინც მეურნეობიდან შედარებით შორს ცხოვრობს, აშენდა საცხოვრებელი სახლი.

სამი ათასი ტონა რძისათვის

ბაზალეთში სულ ახლახანს აშენდა სარძეო პირუტყვის კომპლექსი, სადაც 800 სული ძროხა ეყოლებათ.

უთუოდ უნდა ითქვას: რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმშენმა“ კომპლექსისათვის გათვალისწინებული თითოეული ნაგებობა დიდი მოწადინებით ააშენა. უველაფერი, პირუტყვის საგომები და მათ შორის მოთავსებული სარძევე ბლოკები, საკვების საამქრო და საქვაბე, პირუტყვის ვეტერინარული მოვლის მოედანი თუ ადმინისტრაციული კორპუსი ისეა აშენებული და კეთილმოწყობილი, რომ წუნს ვერ დასდებ.

კომპლექსში უკვე შემოჰყავთ ველის წითელი ჯაშის ფურები. წლის ბოლოსათვის აქ, ალბათ, 800 სული ფური ეყოლებათ.

როდესაც კომპლექსში ნავარაუდევი 800 სული ფური იქნება, მაშინ აქ წელიწადში 8 ათას ტონა რძეს მოწველიან.

ავი ხევის „მორჯულება“

ქალაქ დუშეთის ცენტრს თავიდან ბოლომდე ხევი გასდევს, რომელიც საერთო თავსატეხად იყო. გადაქცეულიც ავდრებში ადიდება იცოდა და ეზოებს ტბორავდა. ერთი სიტყვით, ხევი ქალაქს დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა.

რა უნდა ექნათ? რკინაბეტონის კალაპოტი ძვირი დაჯდებოდა და არც ლაზათიანი იქნებოდა. მილები ჩაეწყოთ? რესპუბლიკაში აქ გამოსადეგი დიამეტრის მილებს არ აშზადებენ.

დუშეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა პარტიის დუშეთის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით მაინც დაიწყო ამ ხევის „მორჯულება“.

ხევში თავიდან ბოლომდე წუვილ-წუვილად აწყობენ დიდი დიამეტრის ბეტონის მილებს, რომლებიც აზრებაიჯანიდან შემოზიდეს. მერე მილებზე მიწას აყრიან და ზედ კეთილმოწყობილი ქუჩის გაკეთებას აპირებენ, რომელიც დუშეთს თავიდან ბოლომდე გასწვდება და თითქმის ყველა ქუჩას დაუკავშირდება.

საქმის დიდი ნაწილი უკვე გაკეთებულია. ახლა მთავარია, ამინდების გაფუჭებამდე დამთავრდეს მილების ჩაღება და ზედ მიწის წაყრა.

ამასთანავე საქართველოს სსრ კომფესალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტს ქალაქ დუშეთში გაეყავს კანალიზაცია.

ამილახვრიანთ სასახლის გინადარნი

დუშეთის ზემოთ, ამილახვრიანთა ძველი და ზვიადად წამომართული სასახლე თითქმის სულ უქმად იყო.

ამ ორიოდე წლის წინათ მოვიდა აქ ხალხი. ეზო გაასუფთავეს, სასახლე აღადგინეს და სარდაფებიდან მიწა გამოზიდეს. გამოჩნდა მარნები, მშვენიერი ქვევრები. მერე სასახლეში დაბინავდა ეთნოგალის არქეოლოგიური ექსპედიცია. მათივე მოპოვებული ნიმუშებით აქ მოეწყო საინტერესო არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც ინახება როგორც ანტიკური ხანის, ისე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის სხვადასხვა არქეოლოგიური მონაპოვარი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არაგვის ხეობაში უწინაც ჩქეფდა დიდი ცხოვრება.

დღეს ოცდაათამდე კაცი მუშაობს არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში. ისინი ყოველდღიურად ამდიდრებენ მუზეუმს.

ამილახვრიანთა ზვიადი სასახლე მეცნიერების კერად გადაიქცა, მის პირველ სართულზე უკვე საკონფერენციო დარბაზს აწყობენ. მუზეუმი ბევრ ისტორიკოსსა და არქეოლოგს გაუმართავს ხელს მუშაობაში — ასე ფიქრობს ექსპედიციის ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერი მუშაკი რ. რამიშვილი, რომლის დიდი გარჯისა და მოწადინების კვალი აქაურობას ატყვია.

ჯ. ჟურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გალაკტიონის სამშობლოში

შაბათს ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი გალაკტიონობაზე. დიდი სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პატივსაცემად აქ ჩამოვიდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ეს შესანიშავი დღესასწაული დაამშვენეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვიდან წვეულმა სტუმრებმა ცნობილი რუსი პოეტის ევგენი ევტუშენკოს ხელმძღვანელობით; აგრეთვე მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, აქ იყვნენ ქართველი მწერლები, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები, მეზობელი რაიონების პარტიული მუშაკები.

პოეზიის დღისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი, რომელიც გალაკტიონის სახლ-მუზეუმში გაიმართა, გახსნა პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ.

ზეიმს უძღვებოდა საქართველოს ტელევიზიის დიქტორი ნ. მითაშვილი.

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა რაიონის მკვდრმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნიკოლეიშვილმა.

ზეიმზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი შ. ნიშნიანიძე, მწერალთა კავშირის აპარის გაპყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი გ. ახობაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის ბელორუსიის წარმომადგენელი ნ. კვიტინა, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი დ. კვიცარიძე და სხვები.

გალაკტიონის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ტ. საყვარელიძემ და გ. სალარაძემ. ზეიმში მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

გალაკტიონობა პოეზიის, ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცა.

ა. ჩარკვიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ხელოვნებისა და შრომის ზეიმი

დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის თაესთავადი ნიჭის მრავალრიცხოვანმა თაყვანისმცემლებმა მოიყარეს თავი წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში — ლეგენდადქცეული კაცის სამშობლოში. „ფიროსმანობა“ — ასე ეწოდება დღესასწაული, რომლის დროსაც მირზაანელები არა მარტო პატივს სცემენ თავიანთი დიდი თანამემამულის ხსოვნას, არამედ სამეურნეო წლის შედეგებსაც აჯამებენ. ეს ხელოვნებისა და შრომის დღესასწაულია.

მირზაანში საერთო-სახალხო ზეიმში მონაწილეობისათვის ქართული კულტურის მოღვაწეებთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე ჯამპუჩის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ფიროსმანის სახლ-მუზეუმის ექსპოზიცია, ქართული მიწის ნობათის, ხელმარჯვე ოსტატთა ხელოვნების ნიმუშების გამოფენა.

ბოლოს ამ დიდი მხატვრის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ქ. ყარაულაშვილი. საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ყანდარელი, არქიტექტორი ბ. ბაქრაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. მეღვინეთუხუცესი, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. ჟორჟოლიანი, კამპუჩიის დელეგაციის მეთაური ტუ კენი და სხვები.

დღესასწაული დამთავრდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

მასპინძლობდა ხოვლე

ქარაფისფერი შემოდგომის მზიან დღეს კასპის რაიონის პატარა სოფელ ხოვლეს მრავალი სტუმარი ეწვია. ისინი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის პატივსაცემად სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ.

დღესასწაულისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვალაშვილმა.

დიდი მეცნიერის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე ილაპარაკეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა ს. ჯორბენაძემ, მწერლებმა და მეცნიერებმა რ. მიშვილაძემ, მ. ლორქიფანიძემ, მ. ჰელიძემ და სხვებმა.

ზეიმში, რომელიც ჯავახიშვილების სახელით დამკვიდრდა, მონაწილეობდნენ აგრეთვე რომის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ფიკერა, ინგლისში მცხოვრები ა. ბესტავაშვილების ოჯახი, ბელორუსიელი სტუმრები.

დღესასწაული დამთავრდა სახალხო თამაშობებით, რაიონის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლით.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქართულ, ოსურ და რუსულ ენებზე...

სამხრეთ ოსეთში გაიმართა ოსი ხალხის დიდი შვილის, გამოჩენილი პოეტის, მხატვრის, პუბლიცისტის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების დღისადმი მიძღვნილი პოეზიის ტრადიციული დღესასწაული. ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის — თავისი ხალხის სანუკვარი გრნობების გამომსახველის ნათელი ნიჭის პატივისცემაში შეიკრიბნენ ცხინვალში მის ძეგლთან, სადაც გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

მიტინგზე გამოსულმა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა კ. მარგიევმა, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატმა მწერალმა ნ. ჯუსოითიმ, პოეტმა ი. პლიევმა და სხვებმა ილაპარაკეს პოეტის შემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე.

ქართულ, ოსურ, რუსულ ენებზე გაისმოდა პოეტის შთამაგონებელი სტრიქონები, შესრულდა კოსტა ხეთაგუროვის სიტყვებზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა ლიტერატურული ღილები და საღამოები, რომლებიც ოსი წარხის დიდ შვილს მიეძღვნა. (საქინფორმი).

●●

სურათებზე: ჭყვიშსა (ზემოთ) და მირზაანში გამართული სახალხო დღესასწაულების დროს.

ა. ჩარკვიანისა და ი. დავითაშვილის (საქინფორმი) ფოტო.

დიდი საზრუნავი

გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის გაშიაენურებულმა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა და სხვა ობიექტურმა მიზეზებმა გასულ წლებში ერთობ შენელეს თეატრის შემოქმედებითი წინსვლა.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა დიდად იზრუნეს თეატრის შემოქმედებითი და მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესებისათვის. საფუძველი ჩაეყარა მრავალ სასაკეთო საქმეს, მაგრამ როგორც თეატრის შემოქმედებითს კოლექტივთან მორიგი თეატრალური სეზონის გახსნის წინ გამართულ შეხვედრაზე ითქვა, გასაკეთებელი ჯერაც ბევრია. თეატრმა თავისი დიდი ხელოვნებით კვლავაც უნდა განამტკიცოს კავშირი ხალხთან, მიაღწიოს სოციალისტური სინამდვილის მართალ და მაღალმხატვრულ ასახვას, თეატრი კვლავაც უნდა გამოხატავდეს ჩვენი მშრომელი ადამიანების ნებას, ფიქრებს, იდეურად და ზნეობრივად ზრდიდეს მას, სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს თავის მომავალ მუშაობაში ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა შ. კობიძემ.

მიმდინარე რეპერტუარში ბევრი კარგი საინტერესო სპექტაკლია: ი. ვაკელის „გიორგი საakაძე“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, ლ. თაბუკაშვილის „დედაჩემის საყვარელი ვალსი“, გ. ბათიაშვილის „მარცვლები და დოლაბები“...

თეატრის შემოქმედებითს კოლექტივთან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. იაკაშვილმა, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჯ. ბლიაძემ, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების უფროსის მოადგილემ ნ. უნაფქოშვილმა.

იმავე საღამოს გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა თავისი 117-ე თეატრალური სეზონი გახსნა ი. ვაკელის პიესით „გიორგი საakაძე“ (დამდგმელი რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ალრამიშვილი).

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გორის სახელმწიფო თეატრის ახალი სეზონი

●●

„პატივცემულო ვერა ლობჟანიძე! უნგრეთ-სსრ კავშირის მეგობრობის ხაზოგადოების პოლოტაშის საბჭოთა მეურნეობა (მისამართი — ბეშენსეგი — პოლოტაში 5072) 1981 წლის ნოემბერში გეწვევით ჩვენს დასაბში. თქვენი მოწვევის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბეშენსეგის რაიონულმა კომიტეტმა და უნგრეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების პოლოტაშის საბჭოთა მეურნეობამ შარშან თქვენს მამას — რომან ალექსის-ძე ლობჟანიძეს ძეგლი დაუდგა. წელს 7 ნოემბერს ამ ძეგლთან ვაწყობთ საბჭოთა და უნგრელ მეომართა, ომის ვეტერანთა შეხვედრას. გთხოვთ, თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ამ ზეიმში“. წერილს ხელს აწერენ პარტიული კომიტეტის მდივანი იანოშ ოლახი და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კაროი ბაგი.**

...აღელვებული კითხულობდა ვერა უნგრეთიდან მიღებულ ამ მოწვევას. შარშან, როცა მისი დ ეთერ ლობჟანიძე გაემგზავრა უნგრეთში მამის ძეგლის გახსნაზე, მან ვერ შეძლო წასვლა, რადგან ტყუპი გოგონები ჩვილები ჰყავდა და ოთხი შვილის დედას გაუჭირდა მათი დატოვება. წელს კი თავის მეუღლესთან ერთად აუცილებლად წავა მამის საფლავზე, მამისა, რომელიც მას არც უნახავს.

რომან ლობჟანიძე სამამულო ომში რომ გაიწვიეს, მეუღლე ფეხმძიმედ დატოვა, ეთერიც სულ პატარა იყო მაშინ, გაიზარდნენ გოგონები ობლად, ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო, ახლა კარგი სპეციალისტები არიან და კარგი ოჯახებიც აქვთ. მაგრამ მათ არასოდეს ავიწყდებოდათ ომში დაღუპული მამა და მისი სიფლავის ადგილსამყოფელს დიდხანს ეძებდნენ. საბუნაროდ, მამის არც ბარათი, არც რაიმე ცნობა შვილებისათვის არავის შემოუნახავს. და მაინც დებმა მამის კვალს მიაგნეს. სამხედრო არქივიდან მიიღეს ცნობა, რომ რომან ალექსის ძე ლობჟანიძე 1944 წლის 10 ნოემბერს გმირულად დაიღუპა უნგრეთის მიწაზე სოლნოკის ოლქის დაბა ბეშენსეგში, მდინარე ხადვის აღმოსავლეთ ნაპირზე.

მერე უნგრეთიდან, სოლნოკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლასლო სეკერეშმა დაღუპულის შვილებს შემდეგი აცნობა: სოლნოკის ოლქის დაბა ბეშენსეგში დღესაც კარგად ახსოვთ ის სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებსაც საბჭოთა ჯარისკაცები გერმანელ ფაშისტებისაგან ამ ადგილების განთავისუფლებისათვის აწარმოებდნენ. დაბის საისტორიო ქრონიკისა და მრავალი ადამიანის მოგონების მიხედვით ბეშენსეგში 1944 წლის 10 ნოემბერს ერთადერთი ჯარისკაცი დაასაფლავეს. დასაფლავებაში მრავალი მოქალაქე მონაწილეობდა. მათ შორის ბევრ მათგანს დღესაც ახსოვს ეს მომენტი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დაღუპული ჯარისკაცი თავისი მეგობრებისაგან ძალიან პატივცემული და საყვარელი პიროვნება იყო, და მრავალ ჯილდოსაც ატარებდა.

1945 წელს ბეშენსეგის მიდამოებში დასაფლავებული საბჭოთა ჯარისკაცები ქალაქ სოლნოკის ძმათა სასაფლაოზე გადაასვენეს, სოლნოკის საბუთებშიც არსებობს მამათქვენის სახელიო, მაგრამ ბეშენსეგში დაღუპულ უცნობ საბჭოთა ჯარისკაცს დაბის მცხოვრებლები თავის გმირად თვლიან და შარშან იმ ადგილას, სადაც ლობჟანიძის სიფლავი იყო, ძეგლი ააგეს — მემორიალური დაფა დადგეს. მას ადგილობრივი მცხოვრებლები უვლიან; საბჭოთა მეურნეობის ერთმა ბრიგადამ და კომკავშირულმა ორგანიზაციამაც ითავა ამ სასაფლაოს მოვლა. ამ ადგილას უნგრეთის განთავისუფლების დღეს საზეიმო შეკრებები იმართება ხოლმე.

ასეთ პატივს სცემენ მოძმე უნგრელები ჩვენი საბჭოთა მეომრების ხსოვნას, რომელთაც მთი ქვეყნის განთავისუფლების შესწირეს თავი.

ძვირფასო მკითხველო, იქნებ თქვენ გვერდით იბრძოდა რომან ალექსის ძე ლობჟანიძე, დაბადებული 1912 წელს ქარელის რაიონის სოფელ მოხისში. უნგრელი მეგობრები გვთხოვენ მისი საბრძოლო დამსახურების შესახებ მიგწეროთ. ველით თქვენს დახმარებას.

ლ. ხუბულური.

უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის

ბეშენსეგის გმირი

ყველა ჯილდო-თბილისელს

საკავშირო ჩემპიონატი ივანოფრანკოვსკში ისეთი შედეგით დამთავრდა, როგორც წინათ შეეძლოთ მხოლოდ ინატრათ ჩვენს გულშემატკივრებს. ნონა გაფრინდაშვილმა, ნანა იოსელიანმა და თამარ ხუგაშვილმა პირველი ხაში ადგილი დაიკავეს. მართლაც დიდი და სახახურული წარმატებაა!

პირველი და მეორე ადგილები 17 შეხვედრებლიდან 12-12 ქულით გაიყვეს მსოფლიო ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა. ორივეს ოქროს მედალი გადაეცა. ხაბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მიენიჭა ნონას — მესამედ, 19 წლის ნანას — პირველად.

ნონა გაფრინდაშვილი ამ შეჯიბრებაში დიდი ალმავლობით თამაშობდა, ისევე, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ პირველი ადგილისათვის იბრძოდა, დიდი ექსპრესიით და შეუპოვრობით. როცა ერთი პარტია შემთხვევით წაგო (აუტსაიდერ პრუდკოვასთან), სახელოვანმა დიდოსტატმა, ვითომც არაფერი მომხდარაო, მტკიცედ განაგრძო გზა და ფინიშზე რამდენიმე გამარჯვებით (ბოლო ტურში ხაჩრიზო ადგილის პრეტენდენტი ზაიცევა დაამარცხა) მიზანს მიაღწია.

ნანა იოსელიანმა ჩვენ კარგა ხანია შეგვაჩვია (თუ ეს სიტყვა შეეფერება მისი ახაკის მოკვადრაკეს) წარმატებებს. საკმარისია აღინიშნოს მისი ორი დიდი მიღწევა: პირველი ადგილი ხაკავშირო გუნდურ პირველობასა და პირველი პრიზი სოჭის ჩიგორინის მემორიალში. ახლა ივანოფრანკოვსკში ნანა თავიდან ბოლომდე ლიდერობდა. ბოლო ტურის წინ ნახევარი ქულით უსწრებდა ნონა გაფრინდაშვილს, უკანასკნელი შეხვედრა კი ყველით დაამთავრა ნინო გურიელთან.

ბოლო ტურის წინ თამარ ხუგაშვილი მესამე ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა მის შეხვედრას ხაბჭოთა კავშირის ექსჩემპიონ სერმინოვასთან. ეს პარტია თამარმა ჩინებულად წ[illegible] მართა, მოიგო (ამასობაში ზაიცევა დამარცხდა) და 11 ქულ[illegible] ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ხამე ადგილი მით უფრო ძვირფასია, რომ თამარს მსოფლიო [illegible] რველობის ზონალურ ტურნი[illegible] თამაშის უფლებას აძლევს. უმნიშვნელოვანესი შეჯიბრ[illegible] დეკემბერში ლენინგრადში გა[illegible] როვება. ხუგაშვილი პირველად [illegible] იღებს მონაწილეობას მსოფლ[illegible] პირველობისათვის ბრძოლაში. [illegible] ვე უფლება ივანო-ფრანკოვს[illegible] მოიპოვეს ზაიცევამ, ტატარენ[illegible] ჩეხოვამ, მინოგანამ და ოსტრ[illegible]

ისტორია ზოგჯერ მეორდება. ამ რამდენიმე წლის წინათ ლ[illegible] ვში საკავშირო ჩემპიონატში [illegible] როს მედალი მაია ჩიბურდან[illegible] მოიპოვა, ვერცხლის მედალ[illegible] — ნანა ალექსანდრიამ და ნ[illegible] იოსელიანმა. და აი, ახლაც ა[illegible] ველ ხამეულში იხეკ ჩვენი [illegible] დრაკადები არიან.

სურათებზე: 1. გაფრინდაშ[illegible] ლი, 2. იოსელიანი და 3. ხუ[illegible] შვილი.

მეშვიდე პარტია

მატჩები მსოფლიო პირველობაზე

ვაჟთა შორის მსოფლიოს პირველობაზე კარპოვისა და კორჩნოის მეშვიდე პარტია 31-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ანგარიში კვლავინდებურად გახლავთ 3:1 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ. აი, ეს შეხვედრაც:

კორჩნოი — კარპოვი

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6 2. ∅c3 d5 3. d4 ♗e7 4. ♗f3 ∅f6 5. ♗g5 h6 6. ♗h4. 0—0 7. ♖c1 b6 8. cd ∅:d5 9. ♗:d5 ed 10. ♗:e7 ♔:e7 11. g3 ♗a6 12. e3 c5 13. dc ♗b7 14. ♗g2 bc 15. 0—0 ∅d7 16. ♖b3 ♕f6 17. ♖a3 ♖e6 18. ♕fd1 a5 19. ∅e1 a4 20. ∅d3 d4 21. ♗:b7 ♕:b7 22. ed cd 23. ♕e1 ♖d5 24. ∅c2 ∅f8 25. ∅f4 ♖a5 26. ∅ec2 ♖b5 27. ♖f3 ♗ab8 28. h4 ♖f5 29. ∅e5 ♖f6 30. ♖d5 ♕:b2 31. ♕f5 ყაიმი.

მერვე პარტია გადატანილია იმის გამო, რომ თავისი პირველი ტაიმ-აუტი აიღო ა. კარპოვმა.

როცა ცაიტნოტი მოახლოვდა

მატჩზე ყველაფრით იგრძნობა, რომ გადამწყვეტი დღეები დადგა. სატურნირო დარბაზში არც ერთი თავისუფალი ადგილი აღარ რჩება, ჭადრაკის სასახლის წინ დიდძალი მაყურებელი იყრის თავს, რომელთათვისაც სპეციალურად წარმოვეს პატარა ეკრანები ჩვენებისა. ყველას უნდა თვალყური ადევნოს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალების თამაშს, მატჩზე მეტისმეტად დიდი დაძაბულობაა. თუ წინათ შეიძლებოდა ქულის დაკარგვა ახლა ნახევარი ქულაც „თქროდ ფასობს“ და შეიძლება ამ ხანგრძლივი ორთაბრძოლის ბედი გადაწყვიტოს.

მეთორმეტე პარტია პრეტენდენტმა, როგორც ყოველთვის, ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო. შავების პირველი სვლა მხედრით ჯერ კიდევ არ იყო იმის მაჩვენებელი, რომელ დებიუტს მიმართავდა მსოფლიო ჩემპიონი. სამგალეროდ, თავისი მეორე სვლით ჩიბურდანიძემ ალექსანდრიას მიანიშნა, რომ შეეძლო ნიმაცოვიჩის დაცვა გამოეყენებინა, ფრიად პოპულარული, სოლიდური და სიმეიდო დაცვა. მას შემდეგ, რაც პრეტენდენტმა მეტოქეს საშუალება არ მისცა გამოეყენებინა ეს დასაწყისი, დაფაზე წარმოიქმნა ეგრეთ წოდებული ახალინდური დაცვა, რომელიც ასევე ზნარად გვაზდება თანამედროვე სატურნირო თუ სამატჩო პრაქტიკაში. მეოთხე სვლაზე ჩიბურდანიძემ კუდაფის კიდეზე გამოიყვანა, რაც ასევე რეკომენდებულია თანამედროვე თეორეტიკოსების მიერ და უფრო რთული თამაშისაკენ მიუყვანართ, ვიდრე ძველ ტრადიციულ გაგრძელებას. სწორედ ამ გაგრძელებამ შექმნა ახალი პრობლემები ახალინდურ დაცვაში, მან მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა თამაში.

ალექსანდრიამ მეხუთე სვლით, რომლის შესახებ სადებიუტო მონოგრაფიებში არაფერია ნათქვამი, თამაშს თავისებური ხასიათი მისცა, მაგრამ, როგორც მალე გამოირკვა, ამით ვერაფერი მიიღო. შავების ცენტრალური პაიკის დროული სვლით სრულად გაათანაბრეს მდგომარეობა. მათ ხელსაყრელ მაყურებელი იყრის თავს, რომელთათვისაც სპეციალურად წარმოეს პატარა ეკრანები ჩვენებისა. ყველას უნდა თვალყური ადევნოს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალების თამაშს, მატჩზე მეტისმეტად დიდი დაძაბულობაა. თუ წინათ შეიძლებოდა ქულის დაკარგვა ახლა ნახევარი ქულაც „თქროდ ფასობს“ და შეიძლება ამ ხანგრძლივი ორთაბრძოლის ბედი გადაწყვიტოს.

მეთორმეტე პარტია პრეტენდენტმა, როგორც ყოველთვის, ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო. შავების პირველი სვლა მხედრით ჯერ კიდევ არ იყო იმის მაჩვენებელი, რომელ დებიუტს მიმართავდა მსოფლიო ჩემპიონი. სამგალეროდ, თავისი მეორე სვლით ჩიბურდანიძემ ალექსანდრიას მიანიშნა, რომ შეეძლო ნიმაცოვიჩის დაცვა გამოეყენებინა, ფრიად პოპულარული, სოლიდური და სიმეიდო დაცვა. მას შემდეგ, რაც პრეტენდენტმა მეტოქეს საშუალება არ მისცა გამოეყენებინა ეს დასაწყისი, დაფაზე წარმოიქმნა ეგრეთ წოდებული ახალინდური დაცვა, რომელიც ასევე ზნარად გვაზდება თანამედროვე სატურნირო თუ სამატჩო პრაქტიკაში. მეოთხე სვლაზე ჩიბურდანიძემ კუდაფის კიდეზე გამოიყვანა, რაც ასევე რეკომენდებულია თანამედროვე თეორეტიკოსების მიერ და უფრო რთული თამაშისაკენ მიუყვანართ, ვიდრე ძველ ტრადიციულ გაგრძელებას. სწორედ ამ გაგრძელებამ შექმნა ახალი პრობლემები ახალინდურ დაცვაში, მან მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა თამაში.

ალექსანდრიამ მეხუთე სვლით, რომლის შესახებ სადებიუტო მონოგრაფიებში არაფერია ნათქვამი, თამაშს თავისებური ხასიათი მისცა, მაგრამ, როგორც მალე გამოირკვა, ამით ვერაფერი მიიღო. შავების ცენტრალური პაიკის დროული სვლით სრულად გაათანაბრეს მდგომარეობა. მათ ხელსაყრელ

„კომუნისტისა“ და სხვა რესპუბლიკური ცენტრალური გაზეთების მეშვეობით ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე საკმაო ინფორმაცია მიიღეს თბილისს „დინამოს“ ხვალინდელ მეტოქეზე.

კვლავ კორსიკელებზ

„ბასტიონ“ — „ბასტია“ — „ბასტია“ — „ბასტია